# ცისკარი.

1869

ი ე ნ ი ს ი

წელიწადი მეცამეტე.

წოდება თხზულებათა:

1, — ცნობა მესხეთზე ანუ საათაბაგოზე, დ. კერესელიძისა.

2, — სიზმარი, (ლექსი) ზემო ქართლელისა.

3, — დილის ხმაზედ, [ლექსი] მიხეილ მაისურაძისა.

4, — ივანე სავიჩი პოდჟაბრინი, პეტერბურგის ცხოვრებიდგან. ივანე კერესელიძისა.

5, — წინასწარმეტყველი, (ლექსი) ალ. აკოფოვისა.

6, — ვინ ვნახე, (ლექსი) ალ. აკოფოვისა.

7, — ახლანდელი დრო, კონსტანტინე ბერძენოვისა.

---

ტ ფ ი ლ ი ს ი

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# ცნობა

მესხეთზე ანუ საათაბაგოზე.

—

ჩემო მკითხველო, ახლა, ამ ჟამად მე ვიმყოფები ზემო ქართლში, ჩუენს ძველს ათაბაგების დედა-ქალაქს ახალ-ციხეში, საიდამაც ამ ორიოდ დღეში უნდა გავიდე სამზ-ღუარს გარეთ, აზიის ოსმალეთში, რომელსაცა ახლა უწო-დებს ქუეყანა და ჩუენთჳს კი, ჩუენის ისტორიისათჳს ისევე ის მესხეთი არის, ანუ საათაბაგო, რომელიცა ყოფილა რა-მდენსამე ასის წლის წინეთ.—მესხეთის გარემოებაზედ, აქა-ურს ყოფა-ცხოვრებაზედ, ჩუეულებაზედ, თუ სხუაზედ, რასაკვირველია მოვილაპარაკებ თავის დროზედ და მინამ იმათზედ მოვილაპარაკებდე, რადგანც შემთხვევაც მომეცა და აქა ვარ, ცოტაოდენს მოგელაპარები ამ პატარას ქალაქ-ახალციხეზედაც.—რა ვიცით, იქნება ჩუენს არა სრულს ისტორიას, ერთი მისხალიცარი სარგებლობა მოუტანოს და ჩუენს ძმებსაც, სისხლით და ხორცით მონათესავე—მე-

სჯელებს, ანუ საათაბაგოში მცხოვრებელთ, რომელთა შორის როგორც აქ დავრწმუნდი წერა და კითხვაც იციან ქართული, მოსცეს სარგებლობა, — ასე სარგებლობა, რომ შეიტყონ თავიანთი მამა-პაპანი ვინა ყოფილან და ან თვითან ვისნი შთამომავლობანი არიან და ვის ეკუთვნიან, თუმცა ბნელად გაგონებული კი აქვსთ. — ქართული წერა-კითხვა ძრიელ უყვართ და იმედი მაქვს ჩვენნი ჟურნალები იქაც მიახწევენ. — ამის გარდა, არც შეიძლება არა ვთქვათ რამ ახალციხეზე, რადგანც ეს ყოფილა პირველი დედაქალაქი, ძრთელს მესხეთში, ანუ საათაბაგოში. —

ახალციხე საკმაოდ ვრცელი ქალაქია, რაც შეეხება უეზდის ქალაქსა. ეს მდებარეობს ორთა წყალთა შორის, პირველი მტკვარია, ხოლო მეორეს ეწოდება პოსხოვანჩაი, რომელიცა ერთვის მდინარეს მტკვარსა. უეჭველია ამ ქალაქს თავისი წოდება მიუღია ახალის ციხისაგან, რომელიცა არის აღშენებული აქედან მისავალზედ, მარჯვნივ მხარეს, მომაღლო კლდეზედ, და რომელიცა დაჰყურებს როგორც ქალაქსა, ისე ვიწრო გზასა, საიდანაც შემოდიან ვაჭრები ოსმალეთითგან. ამ ქალაქის აღშენების, ანუ ვსთქვათ დაწესების წელიწადი მატიანეთგან არა სჩანს. ამბობენ ვითომც ახალციხე დიდის ხნის აღშენებული იყოს' ისტორია მხოლოდ ამას მოგვითხრობს: როდესაც სომხეთის სამეფო, სომხეთის მეფის ვაგარშაკისაგან მეორეს საუკუნეში, ქრისტეს დაბადების წინეთ, განყოფილიყო თხუთმეტ ნაწილად, მაშინ ეს ქალაქი

ახალციხე იყო, ერთი იმ სომხეთის სამეფოს ნაწილთაგანი.

მეთერთმეტეს საუკუნეში, ქრისტეს წინეთ ახალციხე თავისის სამზღვრებით დარჩა საქართველოს და ეწოდა ზემო ქართლი, ანუ საქართველო. (*) ბოლოს დროს აიღეს ოსმალებმა და ეჭირათ ორასის წლის განმავლობაში. ორასის წლის შემდგომს ისევე საქართველოს დარჩა. **1568** წელსა, ოსმალებმა ამურატ მესამის დროს, წაართვეს საქართველოს ახალციხის მაზრა, მაგრამ ამის შემდგომ გადავიდა სპარსეთის ხელში. — **1637** წელსა, სულთანის ამურატ მეოთხის დროს, წაართვა სპარსეთს ოსმალეთის მხედართ-მთავარმა გარემოფაშამ, — ამის შემდგომ ოსმალეთის ხელშია, მაგრამ **1829** წელსა, ადრიანოპოლის ტრაკტატის ძალით, დაუბრუნდა საქართველოს, მხოლოდ სრულებით კი არა და, მეოთხედი. —

ახალ-ციხის ციხეში არის დარჩომილი მშვენიერი მეჩეთი ახმედ-ფაშისა. ეს მეჩეთი ქრისტიანურ ეკკლესიად გადაუქცევიათ და შიგ ყოველთვის წირვა ლოცვა არის. ეს მეჩეთი აღშენებულია **1161** წელსა იმათის წელთ აღრიცხვის მიხედვით, რომელსაცა უწოდებენ ხეჯრის. გარეშემო რაც შენობა აქვს არის ოთხ-კუთხიანი; სვეტები

---

(*] ისტორიის მიხედვით რომ ვიანგარიშოთ, საქართველოს მეფეების ხელში ყოფილა ქრისტეს დაბადების წინეთ თითქმის ექვსი ათასი წელიწადი.

აქჳს მიმდგარი, ნათლის მრთელის ქჳსა. ეზოს შუაგულს დასავლეთის მხრივ, არის გუმბათი, სადაცა აუზი არის და ამოდის წყალი შადრევანი. დასავლეთის მხარეზედ, ეზოში არის დარჩომილი ჩინებული შენობა, თავისის გალლერეია-თი, სადაცა ყოფილა სასწავლებელი და მასში ყოფილა აგრეთჳე მდიდარი ბიბლიოტეკა, სადაცა წყობილა ექჳსასი წიგნი და კიდევ მრავალი ხელნაწერი წიგნები. თჳთან ეს მეჩეთი არის აღშენებული ახმედ-ფაშისაგან და ბიბლიოთე-კაც იმისაგან შემდგარი.—

ახალ ციხე არის ოსმალოს საქართჳელოში შუაგული ადგილი, სადაცა არის დიდი ალებ-მიცემობა; ამას გარდა მესხელებს ალებ-მიცემობა აქჳსთ აზრუმთან, ყარსთან, ტრაპეზონთან, კოსტანტინეპოლთან, არტაანის, ლივანის, აჭარის და სხჳა დაბებთ ერთმანეთ შორის.

ახალციხე ალვწერე მოკლედ ესთქჳათ, მაგრამ ისეთი რამ დავუტევეთ, რომელიცა ჩჳენთჳს დიდად მესანიშნი არის და დიდი მნიშვნელობაცა აქჳს ჩჳენთჳს. როგორც ზემოთაცა ესთქვით, მესხელები, როგორც სამზღვარს გარეთ მყოფნი, ესე ჩჳენში, წმინდად ქართჳელების ნათესავენი არიან ჩამო-მავლობით და ქართულსაც წმინდად ლაპარაკობენ, მაშასადამე როგორც ჩჳენ, ისე იქით მხრივ ქართჳელი თათრები, ყოვე-ლის ღონისძიებით უნდა ვცდილობდეთ ერთმანეთთან შეე-რთებასა, ანუ დაკავშირებასა, მაგრამ როგორც ჩჳენდა ისე იმათ საუბედუროდ, არათუ უახლოვდებით ერთმანეთსა,

არცათუ ვეკარებით და ჩვენს სამფლობელოში მყოფნი ქართველი—თათრები ხომ, თითო თითოდ იყრებიან და გადადიან ოსმალეთში, როგორც თვითონ ჩვენა ვნახეთ ადგილობრივ, ამისი მიზეზი აი რა არის:

ქართლსა და კახეთს ერთი საუბედურო სენი შესჩვევია, ვხეც ხალხის სიღარიბისა გამო, მოახლოვდება თუ არა ზაფხული, თავადის-შვილი არის, აზნაური, თუ გლეხი; მოატანს თუ არა მკა, ლეწვა, ერთის სიტყვით ზაფხულის სამუშაო დღეები, დასჭირდება ფული, —რაქნას, ვის მიმართოს, ვისთან წავიდეს,—ესეც კარგათ ვიცით, ამ გვარს გაჭირების ალაგს ჩვენი სომხები ძრიელ მალე მიაგნებენ, ყოველს ოჯახს, მამულის პატრონს, თავისი ვაჭარი სომეხი ჰყავს შეჩვეული, რომელიაც დიდის სიამოვნებით უმართავს ხელსა, მისცემს ფულსა, და აწერს ერთი ორად და როცა შემოდგომა მოვა, ვალში დახვეტავს მრთლად მოსავალსა და მამულის პატრონი რჩება ცარიელი და ცარიელი მეჰყურებს მომავალს წელიწადსა; მოვა გაზაფხული, ისევე ის ხვედრი მოელის, ისევე ის შეჭირვება, ისევე სესხება, ისევე მიცემა და თავის დღეში ვერცა თუ ერთსა გროშსა ხედავს თვალითა. —

ახალციხის უეზდში, ბეგები ყოფილან და ახლაცა არიან: ერისთავები, ფალავანდები, აბაშიძეები, ხერხეულიძეები, ამილახვრები და სხვანი. ამათაც შესჯდომიან ახალციხის ვაჭრები.— ამ ბეგებისათვის ლალას, სატყეოს თუ სხვას, ეს

ვაჭრები იღებდნენ, მიჰქონდათ და ბეგებს აბარებდნენ, ამათ ეს ვაჭრები დიდი ერთგულები ეგონათ. რასაკვირველია ის ცრუ ერთგულნი ისარგებლებდნენ კიდეცა, — ბოლოს მეტიც მოინდომეს, ამ მცირეს აღარ დასჯერდნენ; დააგდეს ხმა, რუსები გაქრისტიანებას გიპირებენო, მოლებმა შეიტყვეს თუ არა, მოჰყვნენ ყვედრებას და ჩაგონებას, რომ აქ აღარ დამდგარიყვნენ; — გაიქცნენ ეს ბეგები ოსმალეთში, ჩააბარეს თავიანთი მამულები, შინაურ ერთგულთ ვაჭართ სომხებსა და სთხოვეს შემოსავალს ოსმალეთში გვიგზავნიდეთო და თქვენც ისარგებლეთო. ქურდს რა უნდა, ბნელა ღამეო, ამათაც ეს უნდოდათ, — გაუიხვეწნენ საცოდავნი ბეგები. იქ ელიან მამულის შემოსავალსა, გამგზავნი აღარა ჰსჩანან; ბოლოს რომ მოთმინებითგან გამოვიდნენ, ცოტა არ იყო ოსმალეთში შიმშილმაც შეაწუხა, აიღეს თავი ამ ამილახვრებმა, ერისთავებმა, ფალავანდიშვილებმა და გადმოვიდნენ დიდის ვედრებით თავისავე მიწა წყალზედ, მაგრამ რა დაეკარგათ, რას ეძებდნენ! ერთი მტკაველი ალაგი აღარავინ დაუბრუნა. — რა იყო მიზეზი? აი რა: მინამ ისინი დაბრუნდებოდნენ, ვაჭრებს მოუყვანიათ უცხო ვილაცაები, რომელთაცა დაურქმევიათ მამულის პატრონის გვარები და მინაურის ბარათებით დაუმტკიცებიათ. იმართება დავა, ამ დავაში ეცემიან ჩვენი ბეგები და ახლა ვინც იყო ერისთავი, ზოგი დროების მიხედვითაც, ის შექნილა ხამურ-ოღლი (ეს გვარები ჰსცხოვრებენ ქვაბლიანში] ვინცა ყოფილა ფალავანდის-შვლი, ის შექნილა

ფაჰლევანოვალი და ეს გვარები ჰსცხოვრებენ ახალქალაქში; [*] ვისაცა ჰქონის გვარი აბამიძეებისა, ისინი იწერებიან მარიფ ბეგად და ჰსცხოვრებენ სოფელს აწყურში, და ჰსცოვრებენ კიდევ ბეგები ხერთვისში, გვარად ხერხეულიძეები და მრავალნი საქართველოს თავადი შვილების გვარები. თვითანვე ამბობენ, ჩვენ ესა და ეს გვარი ვართო. გადასახლების მიზეზები სხვებიც არიან, რომელსაცა მიაწერენ ჩვენის რუსეთის მთავრობასა, რომელსაცა ფიქრადაც არ მოსვლია. ჩვენი მთავრობა ყველასათვის კარგსა და კეთილსა ფიქრობს; ამისათვის თათარი და ქართველი, სომეხი და ფრანგი, გინდა ურია, სულ ერთია: ინებოს ღმერთმა, სხვა საკელმწიფოშიაც იყოს ის კეთილმდგომარეობა ხალხისა, როგორც რუსეთშია, ჩვენის დიდის განათლებულის ხელმწიფის მფარველობით. ამ აღრეულებაში და სიცრუით მითქმა-მოთქმაში, ოთხას სულამდის გლეხები გადასახლებულან, მაგრამ ახლა, აქაური ნაჩალნიკი თ. ზ. რატიშვილი ისე გულკეთილად ექცევა თავის სისხლით და ხორცით მონათესავეთ ქართველ-თათრებს და ისე არწმუნებს, რომ გაქცეულები თითო თითოდ უკანვე ბრუნდებიან. შკოლებიც დაუმართავეთ აქა-იქ სოფლებში, სადაცა ქართულს ენასაც ასწავლიან. ჩვენი ერთმანერთთან დამოკიდებულება ძრიელ

---

[*] არ იფიქროს მკითხველმა, გორს ქვემოთ რომ ახალქალაქია იმაზედ ვამბობდეთ. ეს ახალქალაქი არის ახალციხის უეზდში.

საჭირო არის როგორც იმათათვის, ისე ჩვენთვის, რას ვემართლებით მამა-პაპათა; თუ კი ისინი ერთობით და სიყვარულითა ჰსცხოვრებდნენ; თუკი იმათ შორის დანერგილი იყო ძმური და ერთნათესაობითი სიყვარული, ჩვენ შვილები, შვილის-შვილები, რათ უნდა ვსჰპობდეთ ერთმანეთში ამ საღმრთო დამოკიდებულებასა.

ეს არის აქ შესანიშნავი საყვარელო მკითხველო, რომ როდესაც ბეგსა ვისმე ჰკითხავ, თუ ვინ არის ისა, მაშინვე დაუფიქრებლივ მოგიგებს. ქართველი ვარო. გვარსაც გვეტყვის, დიასამიძე, ანუ თავთქირიძე ვარო, იმასვე ათქმევინებ რომ ჩვენი ერთანერთში და მოკიდებულება დიდად საჭირო არის.

მამულების თიფვით ყიდვას ხომ სრულებით დაუღუპავს ახალციხის უეზდში მცხოვრები ქართველ—თათრების გლეხ კაცობა. თიფვით გაყიდვა აი რა არის: ერთი-ერთის ბეგსა გაუყიდნია შემოსავალი რომელსამე სომეხზედ ანუ ფრანგზედ, რ დაივიწყოს მკითხველმა, რომ გაუყიდნია მამულის შემოსავალი, და არა თვითონ მამული,—ამ პირობით, რომ უნდა მამულის შემოსავლით ისარგებლოს მყიდველმა და ნამდვილ მამულის პატრონს აძლიოს მეხუთედი. მყიდველი ჯერ თავ და პირველად გლეხ მეხუთედს ართმევს, რომ მამულის პატრონს მისცეს, დანარჩენს უყოფს შუა,—ნახევარს თვითონ, თავის სასარგებლოდ იღებს, შემდგომის ნახევრითგან რომელიცა ეს მაინც უნდა დარჩეს გლეხ-კაცსა,

## ი ვ ა ნ ე ს ა ვ ი ჩ ი

### პოდქაბრინი.

[პეტერბურლის ცხოვრებითგან]

ივანე სავიჩი იჯდა სადილს უკან ვალტერის კრესლაზედ და სწევდა ციგარასა. როგორც სახეზედ ეტყობოდა, ძრიელ მოწყენით იყო· არ იცოდა რა ექნა· რომ დრო გაეტარებინა როგორმე, შიგ კრესლაში ხან მოიკეცავდა, ხან ფეხებს ჩამოშლიდა და გასჭიმავდა; ხან ციგარის ფერფლებს ჩაჰყრიდა ყავის ფინჯანში, რომელიცა წინ ედვა სტოლზედ და ყურს დაუგდებდა, ნამწვი წყალში, როგორ აშიშინდებოდა. ერთის სიტყვით, ისე მოწყენილი იყო, რომ არ იცოდა რა ექნა. ტეატრში წასულიყო, ჯერ ადრე იყო, სტუმრათ სადმე წასვლა არ უყვარდა. წინა ოთახში ხვრინავდა იმისი მსახური და წინ ხალიჩაზედ ეძინა ძაღლსა· ყოველი ესე მეტად მოსწყინებოდა ამ ჩვენს ივანე სავიჩს და ჯავრი მოსდიოდა, როგორც თავის მოსამსახურეზედ, ისე ძაღლზედ. ორჯელ მუჯლუგუნი კიდეც წაჰკრა ძაღლსა, რომელმანცა შემოღრინა.

— ავდეი! დაუყვირა მოსამსახურეს.

, რას მიბ..ძა..ნებ. წამოილუღლუღა ავდეიამ.

— ნუ ხვრინავ! რა ნაირათა ხვრინავ: ორ ოთახს იქით ისმის შენი ხვრინა.

ხვრინა შესწყდა, მაგრამ ხვრინის ნაცვლად, შემოისმოდა ახლა, დამთქნარება, და თან ამ დამთქნარებასა ჰყვებოდა ხმა: ლე! ლე!..

— ნუ ამთქნარებ. ან არა და, დაამთქნარე ისე, როგორც რიგია, დაუყვირა ივანე სავიჩმა.

შეიქნა სიჩუმე, მაგრამ ბევრს ხანს კი არა. ხვრინაც შესწყდა, დამთქნარებაც, — მაგრამ ახლა შემოისმა, მშრალის ხველების ხმა. ივანე სავიჩმა, მეტის გაჯავრებით, აიწია მხრები მაღლა.

— აი, ახლა ხველას მოჰყვა! რომ არ შეიძლება რომ ჭკვიანათ დაჯდეს? რისთვს ახველებ? ამისათვს რომ სულ ქუჩაში ეთრევი, ერთი ჟილეტის სანაბარათ. რამდენსაც გეუბნები, რომ არ მიჯერებ; გეყურება, თუნდა ლამეც გარეთ ეგდე, ოღონდა ჭკვიანათ, ხმა გაკმეტით იყავი, მე შენ არ მოგცემ ნებას, რომ აგრე ხმა ჩაუწყვეტლივ ახველო.

ამ დარიგების შემდგომს ორნივე დაჩუმდნენ, მაგრამ პატარას ხანს უკან ივანე სავიჩმა კიდევ დაიწყო თავისებური ფეხების მოკეცა, ხან გაჭიმა და გაზმორება, და ხან ფერფლების ჩაყრა ყავა ნარჩომს ფინჯანში.

უცებ ზალაში შეისმა ფეხის ხმა ავდეისა. ის შემოვიდა

იმისათვის, რომ იმისი ქალი ჩვენ ფანჯარაში იყურება და ზოგჯერ ჩვენ სამზარეულოშიაც შემოდის ხოლმე.

— იქნება მართლა? ჰკითხა უჩივლია მებულკეს: ჩემზედა თუ თავის ქალზედ?

„რა მოგახსენოთ.

— მაშ იცი რა გითხრა? უთხრა ივანე სავიჩმა.

„ არ ვიცი.

— მოძებნე ჩქარა, სხვა სახლი!

„კიდევ სხვა სახლი! შეწუხებულის ხმითა სთქვა ავდეიმ. რა დიდი ხანია, რაც სახლი არ გამოგვიცვლია.

— დიდი ხანია! მაშ რა ვქნათ: თითონ შენა ხედამ, რომ ჩვენ-ნი აქ დადგომა აღარ შეიძლება: ხომ უყურებ როგორ გვაწუხებენ. ერთიც ვნახოთ, მარში გავეხვიენით, მერე? მო-ძებნე სახლი დროით!

„ამისთანა სახლი როგორ დაცალოს კაცმა! სთქვა ავ-დეიმ: საყინულეცა გვაქვს აქ საკუთარი, ჩარდახიცა..

— ეს კიდევ თავისას ბოდავს! რას თავში ვახლი საყინუ-ლესა? შინ ხომ საჭმელს არ ვიკეთებთ, სახლში ხომ საზ-რდოს არას ვინახავთ·

„როგორ თუ, რათ გვინდა! საყინულე არ არის გამოსა-დეგი ჩვენთვის? არ გახსოვს ერთხელ რომ ნესვი ჩავიტანე გასაციებლათ··

— არა, მოძებნე სახლი! ამას გარდა, სახლში დგომაც მამბეზრდა, აქ მდგმურებს ყველას ვიცნობ; ყველა-

ნი მომბეზრდნენ. აქ აღარავინ არის, რომელსაც გავეთამაშო-გამოვეთამაშო.

„მარია მიხაილოვნაზე რაღას იტყვი?

—ეჰ, ის დამპალი მძორი? მომძებნე სახლი მეთქი!

„გეშინოდეს ღვთისა ივანე სავიჩ, უთხრა ავდეიმ, ცოდვაა, მერწმუნე ცოდვა.

—საკმაოა! გაჯავრებით თქვა ივანე სავიჩმა, შენ დუდუკზედ მე როდი ვთამაშობ. გეუბნებიან, სახლი დამიჭირე. შენ უთუოთ გინდა ერთს ხიფათში გამახვიო, მოძებნე! მაგრამ ისეთი სახლი კი, რომ ფანჯარა ქუჩისაკენ გადაჰყურებდეს და ეზოსაკენ. და თუ მდგმურებში შენიშნე ვინმე ისეთი ,... გესმის?.. იმ ჯარის... მაშინ თუნდა ფანჯრები ქუჩისაკენ არა ჰქონდეს, არა უშავსრა.

ივანე სავიჩის დღიური ცხოვრება იყოფებოდა სამ ნაწილად. დილით მიდიოდა სამსახურში, თუმცა იქ არას აკეთებდა, სადილათ დადიოდა სადმე ტრაქტირში, ხშირად თავის ტოლებთან დათვრებოდა კიდეც. ეს იმას დიდ საქმედ მიაჩნდა. საღამოზედ ან წავიდოდა ტეატრში, ან არა და, ერთს ერთ მდგმურთან შევიდოდა, სადაც ქალი ეგულებოდა; ამ უკანასკნელს ის უწოდებდა, გათამაშებ-გამოთამაშებად. ამის მეტი, სხვა იმისათვის ქვეყანაზედ არა იყო რა: მშობლებს არ დაეტოვებინათ იმისათვის დიდი საცხოვრებელი, მაგრამ ეს კი ესწავლებინათ, რომ გაეცნოთ იმისათვის რიგიანი ხალხი. მაგრამ ნახა რომ ეს ტყვილი და უსარგებლო მეგობრობა

იყო, თავი მიანება. წიგნებს ის არა კითხულობდა, თუმცა სადღაც სასწავლებელში ესწავლა, საიდანაც თითქმის არაფერი ჰსწავლა გამოეტანა. როგორც შესულიყო ცარიელი, ისე გამოსულიყო, თუმცა ატესტატი კარგი ჰქონდა.

მეორეს დღეს ავდეიმ მოახსენა ივანე სავიჩს, რომ სამ ალაგსა ენახე ალაყაფის კარები, რომელზედაც ქაღალდი აკვრია ქირით სახლი მიეცემაო. ივანე სავიჩმა მაშინათვე ტანთ გადაიცვა და გასწიეს ერთად. ისინი მოვიდნენ ერთს დიდს სამ ეტაჟიან სახლებთან. ალაყაფის კარებთან იჯდა ერთი კაცი, თულუფში გახვეული.

„სახლის ზედამხედველი ხომ არა ხარ? ჰკითხა ივანე სავიჩმა თავაზიანათ.

კაცმა დაამთქნარა და დაიწყო სხვა მხრივ ყურება.

„სად არის აქ სახლის ზედამხედველი? ჰკითხა ავდეიმ.

კაცი ჩუმათ იყო.

—შინ არის ზედამხედველი? ჰკითხა კიდენ ივანე სავიჩმა.

კაცმა ორივეს შეხედა და ჩუმათ იყო.

„რაო, ყრუ ხარ თუ? თქვ რაღა, სად არის?

„მე აქაური არა ვარ! ზარმაცათ მიუგო კაცმა და თან თულუფში გაეხვია.

„აგრე იტყოდი რაღა, შე ოხერო, შენა, უთხრა ავდეიმ.

ისინი შევიდნენ ეზოში. წინ დაუხვდათ ერთი კაცი.

—სახლების ზედა-მხედავი ხარ? ჰკითხა ივანე სავიჩმა.

„არა, მე არ გახლავარ. აგერ სადაც დგას ისა. ზარს

ჩამოჰკარით, მგონია შინ არის.

— ჩამოჰკარ ზარსა ავდეი!

ავდეიმ ზარს ჩამოჰკრა, კარში არავინ არ გამოხედა. ივანე სავიჩმა თვთან ჩამოჰკრა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა: პასუხი არსაიდანა სჩანდა. ავდეი ავიდა კიბეზედ და მუშტით დაუწყო ცემა კარებსა, ხმა არავინ გამოსცა. ივანე სავიჩმა დაჰკრა მაგრა მუშტით. კიდე არავინ გამოხდა.

„ძალიან დაჰკარით. უთხრა იმ კაცმა, რომელიცა მეხვდათ ეზოში, ივანე სავიჩმა კიდევ დაჰკრა რაც შეეძლო.

„შენც დაჰკარი რაც შეგეძლოს, უთხრა კაცმან ავდეის.

„ამაზედ მეტი რომ აღარ შემიძლიან, მიუგო ავდეიმ: ტყვილათ არახუნებდნენ.

„გამიშვით მე დავკრა, უთხრა კაცმა, მივიდა და ისე დაუწყო კარებს ცემა, რომ ფანჯრები შეირყნენ.

კიდევ ხმა არავინ გასცა.

„უთუოთ შინ არავინ არის, სთქვა კაცმა, ხომარ დაუძინია მაგ გვარმა კაცმა თუ ერთი ჩაიძინა, ეშმაკი ვეღარ გააღვიძებს: მეორე ეზოში ხომ არ არის?

ბატონი და მსახური შევიდნენ ეზოში, იმათ შეჰყვა თან ის უცხო კაციც. იმ ეზოში დადიოდნენ ორი ბატი და ხუთიოდ იხვი. ერთს კუთხეში დედაკაცი სარეცხსა რეცხავდა, მეორეს კუთხისაკენ, კუჩერი შეშას აპობდა.

„ხომ არ იცი დედავ, ჰკითხა ავდეიმ, სად არის სახლის მცველი? აქ ხომ არ არის?

„არ ვიცი მამავ, არა სჩანს. ის იქნება იყოს მეორეს ეზოში.
ისინი წამოვიდნენ ისევე პირველსავით ეზომი და როცა მედიოდნენ დაუძახა კუჩერმა.

ვინა გნებავსთ თქუენ უფალო! სახლის მცველს ხომ არ დაეძებთ? და იმ სიტყვებთან აიქნია ხელი და ჩაურტყა შემაში ცული. შუშა მუაზედ გასკდა, ერთი ნაჭერი იქით გადავარდა და მეორე ნაჭერი ეცა ავდეის ფეხებში

„შე ოხერო, ბრმა ხარ თუ! ესა სთქვა და რაც ძალა ჰქონდა შეუტია ავდეი.

კუჩერმა ყური არ ათხოვა და აიღო კიდევ ცული მაღლა,

—დიახ, დიახ, ჩემო საყვარელო. სად არის სახლის მცვე-ლი? ჰკითხა იოანე საეიჩმა.

კუჩერმა ერთი კი შეხედა, მერე კალთით ოფლი მოიწმინდა და აიღო ისევე ცული მაღლა შემის დასაკრავათ.

„არ ვიცი, არ მინახავს! მიუგო კუჩერმა და დაჰკრა ცული მეორე შუშას. მაშ რაღასა ბოდავდი ტყულათ. უთხრა ავდეიმ მოდი და ელაპარაკე. მომორდნენ კუჩერსა. რა დაპირეს ქუჩაში გამოსვლა და სხვა მეზობლად სახლების გასინჯვა, იოანე საეიჩმა დაათვალიერა იმ ეზომი ვისიც მდგურების ფანჯრები იყო; უცებ ამ დროს იმისმა თვალებმა გაიელვეს. მესამე ეტაჟის ფანჯარაში დაინახა თეთრად ჩაცმული ქალი, ისევე გაქრა, კიდევ გამოჩნდა და კიდევ დაიმალა მრგვალ სახიანი ქალი, რომელსაცა აქეთ და იქით გადმოყრილი ჰქონდა წაბლის ფერი თმები, იმ ქალს უკან დაინახა, ბებერი დედაკაცი.

— ოჰ, ძალიან საჭირო იყავ თუ შენ არ დამენახე, წაილუღლუღა თავისთვის ივანე სავიჩმა, მოხუცებულ დედაკაცზედ.

როდესაც გამოიარეს სახლის მცველის ოთახის წინ, კარებიდგან გამოყო თავი ნამძინარევმა პერანგა კაცმა, რომელსაცა ეჭირა ხელში სამოვარი.

„ სახლის მცველი ხარ, ჰკითხა ავდეიმ.

„ დიახ! რა გნებავთ?

„ რა? სად იმალები, ბატონი გეძებს?

„ რომელი ბატონი? ჰკითხა მცველმა და ყურადღებით აავლო თვალი ივანე სავიჩს.

— მთელი ერთი საათია, რაც შენ დაგეძებთ, უთხრა ივანე სავიჩმა.

„ თქუე დალოცვილებო, ზარს ჩამოჰკრავდით.

„ ერთხელ, ჩიმოეკარით, თუ ორჯელ, რამდენჯერმე· კარები ხომ, კინაღამ დავამტვრიეთ; ბევრის ცემისაგან ხელები დაგვემტვრა.

„ არ გამიგონია, უნდა გაგიტყდეთ, რომ ცოტათი ჩამძინებოდა. სთქუა სახლის მცველმა,

— მაშ ჩუენ ხომ არ გამოგალვიძეთ? ჰკითხა ივანე სავიჩმა.

„ არა, მე თითონ გამომეღვიძა. საკვირველია, რატომ ვერ გავიგე. მერე ისეთი ხასიათი მჭირს, თაგვმა რომ გაიჩუჩუნოს, იმ მინუტშივე გამომეღვიძება.

— მესამეს ეტაჟაში, აქ მიიცემა ქირით სამი ოთახი და ერთი კუხნა. ჰკითხა ივანე საყიჩმა, აბა ერთი გვაჩვენე.

„ ამ საათში წავიდე გასაღები მოვიტანო. მობძანდით.

იმან დასდგა სამოვარი მიწაზედ და რა უნდოდა აეყვანა კიბეზედ, უცებ დაინახა ის კაცი, რომელიცა ტრიალებდა ეზოში და შეელიდა ივანე საყიჩს და აედეის მცველის მოძებნაში, უკანვე დაბრუნდა. ივანე საყიჩი და აედეიც გამობრუნდნენ.

„ სუს! შენ კიდევ აქა ხარ! დაიწყო ყვირილით მცველმა. რისთვის მობძანებულხარ? გამიგონე! მე შენ გეუბნები, დაიკარგე აქედანა და თვალით ნულარ დამენახვები მეთქი; თორემ ძლიან ცუდი მოგივა. სახლის პატრონმა მიბძანა, გაგაგდო აქედან. გესმის თუ არა?

უცხო კაცი მიეფარა ალაყაფის კარებსა.

„ მე შენ გაჩვენებ დამალვა როგორც უნდა; წარმოსთქვა მცველმა, მობძანდით!

ისინი ავიდნენ კიბეზედ. რა ავიდნენ პირველს ეტაჟაში, სახლის მცველმა გადმოხედა ბალკონითგან, შეეტყო, წავიდა თუ არა უცხო კაცი. ის კაცი ისევე იქ იდგა.

„ შენთვს უთუოთ სიტყვებით ლაპარაკი არ არის საკმაო, დაუყვირა მცველმა ბალკონითგან და ემუქარებოდა თან ჩონჩხი გასაღებებით: თუ არ გესმის და, მაშ მე დაუყვირებ პრისტავსა, ის მოვა შენის ოხტოთგანა; დაიკარგე აქე-

დან, გეუბნებიან დაიკარგე! მობძანდით!

როცა მიდიოდნენ ოთახში, ივანე სავიჩმა და ავდეიმ დაინახეს, როგორც იმალებოდა უცხო კაცი ეზოში.. ავიდნენ მაღლა.

„იქნება ის წყეული კიდევ არ გამეცალა" სთქვა სახლის მცველმა, რა მოდგა მეორეს ეტაჟის ოთახის ფანჯარასთან. ბოლოს ავიდნენ რა მესამეს ეტაჟის ოთახებში, მცველმა კიდევ გადმოხედა ეზოს.

არა სჩანს! ანზობდა ის თავის თავად. არა, უთუოთ მიიმალა სადღაცა, არ წავიდოდა! ამისთანა წყეული სამსახური! მოდი და ახლა იმას უყურე! მობძანდით!

იმან დაუწყო კარებს ღება. ამ დროს მეორეს მხრივ ოთახითგან გამოყო თავი, იმავე მშვენიერმა ქალმა, რომელიცა ადრე იყურებოდა ეზოში, და ისევე დაიმალა.

— მე მგონია დავიჭერ ამ სახლსა, ჰსთქვა ივანე სავიჩმა რა დაჰკრა მკლავი ავდეის.

ავდეიმ ზურგი შეაქცია.

— ჰა ავდეი, შენ როგორა ფიქრობ?

„არა რასა ჩქარობთ ბატონო, მიუგო იმან, იქნება არ არის კარგი ოთახები.

„როგორ მოგეწონებათ არ ვიცი, უთხრა სახლის მცველმა.

— ჩინებული სახლია! მიუგო ივანე სავიჩმა.

— ბატონო, ჯერ რომ არ გინახავთ, საიდან არის ჩინებული!

უთხრა ავდეიმ. იქნება ციეი სახლია.

— ციეიაო, როგორ შეიძლება ციეი იყოს, წამოილუღლუღა იეანე საეიჩმა.

„ ცივს კი ნუ ბრძანებთ, მაგაზედ ხათრიჯამი იყაეით, სთქუა სახლის მცეელმა და თან· ჩონჩხი გასალები აიქნიეა: არათუ ციეა, ისეთი ცხელა, თითქმის ფურნეაო. რომ ძალიანი ცხელა, მაგისათვს გაეიდნენ იმ ოთახითგან მდგმურები.

— როგორ?

„ ოთხი ფეჩი აქუს, ლალოცეილებო, ერთი კარგათ იფეიქრეთ, კუხნაში რუსული ფეჩია, და მზის მუქიცა შიგ ფანჯრებშია სცემს. იდგნენ ვილაცა უცხო ქუეყნის ხალნი, არ მოეწონათ! ჩუენ რუსებს კი, კარგათ იცით სიტფო გვარგებს. დარწმუნებული ვარ მოგეწონებათ.

— გესმის, ავდეი, წინა ოთახის გარდა, რა მშვენიერი ოთახები არის! სთქუა იეანე საეიჩმა· აბა ნახე!

„ რა ვნახო! წამოიბუტბუტა ავდეიმ, და კარტუზი, რომელიც ერთსკელში ეჭირა; მეორეს ხელში დაიჭირა.

„ რა უგუნური რამ არის! მომიგე კაცსაეით და არა პირუტყსაეით! გაჯაერებით უთხრა იეანე საეიჩმა·

— აკი გეუბნები კაცსავით, მაგრამ რომ არ გესმის, რასაკვირველია ისე ვერ ვილაპარაკებ, როგორც ბატონები ლაპარაკობენ, მაგრამ რა უყო, ვის ეყურება. სახლი მოიწონა იეანე საეიჩმა, ზალის ფანჯრები გადაიყურებოდა ქუჩისაკენ, ხოლო კაბინეტი და სპალნა ეზოსაკენ, ერთის სიტყვით

ისეთი ოთახები იყო როგორიც უნდოდა იეანე საეიჩს.

ეს რა ლაქები სცხია ჰერსა, თითქმის სველია, ჰკითხა აედეიმ

— მართლა, ეს რა ლაქებია, მერე ისიც სპალნაში? ჰკითხა იეანე საეიჩმა' მგონია სწვეთს ზემოდან?

• დიახ, სწვეთს, მიუგო მცეელმა და თავი დაიხარა, ნიშნად თანახმობისა· ცოტათი წვეთი იცის. ზოგჯერ მოხდება ხოლმე, ზემოდან რომ წყალს ასხამენ, ნაფოტებში ჟონავს და ჩამოდის·

იეანე საეიჩმა თავი გაიქნიეა.

,, ნუ დაფიქრდით, წამოიძახა მცეელმა, იმედი მაქუს, კმაყოფილნი დარჩეთ; ეს ლაქები, არაფერია! მაგას ტყუილათ ნუ უყურებთ, ეგ უბრალო საქმეა!

— ეხედავ რომ უბრალო საქმეა, მაგრამ ჩემო ძმაო, ერთხელ მაგ უბრალო საქმით, გაჯი ჩამოინგრევა და ცხვირს გამიჰევჭს.

— არა, ფიქრი არ არის, გაჯი მაგრათ არის; და თუ მაგისთანა საქმე მოხდა, განა პირველათვე ვერ შეატყობთ, რომ მოერიდნეთ.

— რომ ვერ შევატყო, ჰსთქუა იეანე საეიჩმა, ამას გარდა, ტანისამოსი და მებელიც სულ გამიფუჭდება.

• არა, შეატყობთ, ისე ჩამოვა როგორც ნიაღვარი და როგორ ვერ შეიტყობთ, მერე რაკარუკს რომ დაიწყობს' უთხრა მცეელმა'

— ოთახში რომ წვიმდეს, აბა რაიქნება, შენიშნა ივანე საეიჩმა, რატომ არა წაუსმენ?

„ ყველანი მაგას აწბობენ, მიუგო სახლის მცველმა, უთხარი სახლის პატრონს აკი, მაგრამ, წავასმევინეთ მაშინ, როდესაც მდგმური დგებოდათ და ვინც ახალი დადგება ყველასათვს ხომ არ წავასმევინებთ, ბევრიც შემაგინა.

ივანე საეიჩი დაფიქრდა, მაგრამ როდესაც ის ლამაზი, პირდაპირ მდგმური მეზობელი მოაგონდა, ხელი აიქნია, რა უყოთ, ერთის მხრივ კარგიც არის, წყალში ბანაობა აღარ მამინდება, მიუბრუნდა და უთხრა ავდეის.

ამოიღო და მისცა ივანე საეიჩმა ბეი.

„ მოითმინეთ ბატონო, მოითმინეთ ბატონო, მოითმინეთ! უთხრა სისწრაფით ავდეიმ და გამოსტაცა სახლის მცველს ასიგნაცია; კაცმა რომ საქმე დაიჭიროს, უნდა რიგიანათ. ჩარდახი არის თუ არა, შემისათვს?

„ არის, ხუთი საჟენის სამყოფი.

„ საყინულე? ჰა? საკუთარი?

„ საყინულე არ არის. ან რათ გინდათ საყინულე? ზამთრის სამზადისს ერთათ ხომ არა ყიდულობთ და არ ინახავთ. იქნება, ამ ბატონს ცოლი ჰყავს?

„ არა, ჩვენ უცოლშვილონი ვართ. როგორ არ გვინდა საყინულე, რომ მოგვინდეს ..

— რაში მოგინდებათ?

„ როგორ თუ რაში? ზოგჯერ ნესვს გავაციებთ.

— შენ ყოველთვს რაღაებსაც ბოდავ ავდეი! მიეცი უკან ბეი! უთხრა ივანე სავიჩმა.

,, რაღაებსაცა ვბოდავ! წაილუღლუღა თავისთვის ავდეიმ, რაღაებსაცა ვბოდავ!..თითონ რაღაებსაც ჩადის არა ესმის რა, და მე მეუბნება: შენის ალაგი, არაფერიაო, საყინულე არაფერიაო, მაშ რაღა ეშმაკი დარჩა! და თუ მეზობლათ გოგო ვინმე შეხვდა ლამაზი და, ის კი, ჰო, არ არის, არაფერი!

,, შეიძლება, თუ საყინულე დაგჭირდეს, სახლის პატრონის საყინულე იხმაროთ, სთქვა სახლის მცველმა.

ავდეიმ ბეი უკანვე დაუბრუნა.

მინამ მსახური ევაჭრებოდა, ივანე სავიჩმა ფეხით გააღო წინა ოთახის კარები და იქიდან დაუწყო ლორნეტით ყურება იმ პირ და პირ ოთახს, რომლის კარები ნახევარზედ გაღებული იყო, რომელშიაც იდგა ლამაზი მდგური და რომლიდგანაც გამოიყურებოდა ხან ის ლამაზი და ხან მოხუცებული დედაკაცი.

— ახ! რა მშვენიერია! წამოიბუტბუტა ივანე სავიჩმა, რა გააღო უფრო კარები. შავი თვ.ლები, ახალ გაზდა სახე! შეიძლება გავეთამაშ-გამოვეთამაშო! რა თეთრი კისერი აქვს ოჰ, რა ბევრი იმედია ამისგან, ის მეორე ბაიყუში ბებერი რაღას იყურება, დასწყევლოს ღმერთმა, სწორეთ ბუსა გავს.

უცებ ივანე ისაეიჩი შევიდა ეჭვში, შეფიქრიანდა მდგმურის ქალის გამო, და იმანაც გამოსტაცა სახლის მცველს ხი-

,აცია, რომელიც ედო შაპკაში სახლის მცველს; უნდა ჯაეფარებინა ხელი და არ დაენებებინა, მაგრამ მინამ ის ხელს დააფარებდა, იოანე საჲიჩმა კიდეც გამოსტაცა,— სახლის მცველის კელმა დაიჭირა ცარიელი ქუდის სარჩული, ის განკვირებით უყურებდა, თუ სად დამალავდა იოანე საჲიჩი იმ ასიგნაციასა. იმას ასიგნაცია ეჭირა ხელში, ისინი გამოვიდნენ ტალანში.

— პირ და პირ ვინა დგას? კითხა იოანე საჲიჩმა.

,, აქა! . . ქმრიანი ქალები, მიუგო მცველმა

იოანე საჲიჩი მეტის სიხარულით, აენთო, ოჰ, მადლობა ღმერთსა,რომ წესიერი მეზობლები ვიშოვენე: პატიოსანი ხალხნი ზოგჯერ, შეხვდები იმისთანა მეზობლებსა რომ, იქ დგომა არ შეიძლებოდეს...

ესა სთქუა და ასიგნაცია ჩაუგდო შაპკაში, სახლის მცველმა მაგრა დაიჭირა მუშტში, რომელშიაც ევაეა ასიგნაცია და ქუდი კი თავზედ დაიხურა.

— აქ ვილა დგას?

,, აქ? გასათხოვარი ქალი ერთის ჩინოვნიკისა.

— გესმის ავდეი, გასათხოვარი ქალიო!

,, მე რა უნდა მესმოდეს, ან რას თავში ვიხლი· მიუგო ავდეიმ·

— იქით, ზემოთ მხრივ? ჰკითხა საჲიჩმა·

,, იქით?

— ჰო.

„ ცოლ შვილიანი ჩინოვნიკი.

— ქვემოთ?

„ ქვრივი ჩინოვნიკი.

ივანე სავიჩი შეიჭმუხნა.

— იქ? ჰკითხა სავიჩმა და დაანახვა სულ ზემოთი ეტაჟა და რა აღარ მოუცადა პასუხს, თითქო თითონვე მიხვდაო, მცველმაც თავით ანიშნა.

„ ისიც?

„ დიახ, ისიც.

— ჰმ! დანანებითა სთქვა ივანე სავიჩმა, ცოლ-შვილიანი?

„ არა ბატონო...სახლში იმასა ჰყავს ეკონომკა, სუყველას ის განაგებს, კარგი დედაკაცია, ღუთის მლოცველი: არც წირვას და არც ლოცვას არ გაუშვებს. თქუენ, თქუენ ვილა ბძანდებით, სახლის პატრონმა რომ მკითხოს, ვინა ბრძანდებით?

— ვინა ვარ? წარმოსთქუა ამპარტავნულად ივანე სავიჩმა, და თან დააცქერდა სახლის მცველსა.

მცველმა ქუდი მოიხადა და გამოჭიმული დადგა.

— მე ვინა ვარ? განიმეორა ივანე სავიჩმა, მე უცოლ-შვილო კაცი ვარ · ჩინოვნიკი!

მცველმა დაიხურა ქუდი, დაკეტა კარები და გამოიხედა ბალკონითგან.

„ არა, არ არის! სთქუა თავისთვის; იქნება მეორე ეზო-

ში შევიდა? ამისთანა წყეულის გლეხისაგან ყველა დასაჯერია.

ივანე საიჩი და ავდეი ჩამოდიოდნენ კიბეზედ· გზაზედ შეხვდათ ბებერი დედაკაცი, რომელმაცა დაუწყო ლაპარაკი, წინ ჩამომავალს სახლის მცველსა:

„ დილა მშვდობისა, საველი ნიკიტიჩ, უთხრა დედაკაცმა.

„ ღმერთმა მშვდობა მოგცეს სტეფანიდა ეგნატიევნა.

— რაო, რა ამბავია? უთუოდ სახლი გააქირავე? ღმერთი რა მალე გაძლევთ მდგმურებსა!

„ დიახ, გავაქირავე.

— ვინ დაიჭირა?

— ვინა? ჩინოვნიკმა რასაკვირველია, ახლა, ამ შავ კიბეზედ სულ ჩინოვნიკები დგანან, მეშინოდა, ვაი თუ ხელოსანი დადგეს ვინმე მეთქი!.

ორი დღის უკან გამოცხადდა ახალს სადგომში, ჩუშნი ავდეი,.იმას მემოჰყვნენ უკან, ეზოში, სამი პაოზკა ბარგიბარხანით და სახლის აფურ-ჩუფურით. რომელიც საუკეთესო მებილი იყო, ის სალდათებს მოჰქონდათ ხელითა, თითონ ავდეისაც ზურგზედ რალიცაები ეკიდა, აქლემსავით დატვირთული იყო და ხვნეშით ადიოდა კიბეზედ· ცალი ხელი შემოეხვია კედლის სათისათვს, გირები ქანაობდნენ და ხვდებოდნენ მუცელსა, და რამდენიც მოხვდებოდა, იმდენი იღრიჯებოდა· მეორეს ხელში ეჭირა ლამპა. უკან

სერთუკის ჯიბეში ჩაეწყო შანდნები· კბილებით ეჭირა ქისა, თამბაქოთი სავსე.

— მოიცა, მოიცა! წყნარა! აგრე არ გატეხო! უყვიროდა ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ. ძირს არ დაუშო, ტალახში, ეგ სარკე! დაიცადე გამოეტევა თუ არა? სად არის სახლის მცველი? სად ჯანაბაშია, რატომ არ აღებს? ღმერთო შემიწყალე! ეს სწორეთ ჯოჯოხეთია!

— სად არის შენი ბატონი? ჰკითხა მცველმა, რა მოვიდა.

— სად არის? ჯანაბაში! ღმერთო მაპატიე ჩემი დანაშაული! სად არისო, მკითხავს კიდეც ეს ოხერი, ლამის სული ამამძვრეს, იმას მზათ მხარეულზედ მოზძანება უყვარს. (დაცინებით.) ავდეი ბარგი გადაალაგეო, მეც სალამოზედ მოვალო. რასაკვირველია მოვა და იმის მოსვლამდინ, მრთლად ტანისამოსი შემამებლედნა,

დიდხანს იყო ხმიანობა ეზოში ბარგის შეტანაზედ. ავდეი, როგორც მეძებარი, ხან არბოდა კიბეზედ და ხან ჩამორბოდა. ზემოთ ავიდოდა დარიგებას მისცემდა, თუ როგორ შეიტანონ დივანი, ქვემოთ ჩამოიჭრებოდა და შეელიდა შკაფის ატანასა.

„ჰო, აგრე! ისმოდა ხშირად ყვირილი ავდეისა. არა, მაღლა, კიდენ, დაბლა, ჰო, აგრე აი! მადლობა ღმერთს შევიდა!

ფანჯრებითგან იყურებოდნენ ცნობის მოყვარენი მდგ-

მურები, ზოგნი არ მოსცილდებიან ფანჯარასა, მინამ ბარგს სულ არ შეალაგებდნენ, თითქმის ოთხ საათამდინ. ყველა-ნი სხუა და სხუა მიზეზით: ზოგს უყუარს მეიტყოს, ვის როგორი მებილი აქუს, ვის რაზედა სძინავს, სჭამს, ერთის სიტყვით, უყუარს სხვის საქმეში გარევა. ზოგს თავისი საქმე მობეზრებია და სხვისას უყურებს.

,, აი შკაფი მოაქუსთ, ეუბნებოდა ერთი, თავის მე-ზობელსა,

, ახლა, მგონია კამოდი მოიტანონ, მიუგებდა მეორე.

— ეხ! კარტინკები, როგორ შემოიტანა იმ სულელმა

ეკონომკა ჩინოვნიკისა, თეკლე, მლოცველი დედაკაცი, იმ დრომდინ იჯდა და არ მოშორებია ფანჯარას, მინამ ავდეიმ არ შემოიტანა უკანასკნელი ხურდა მურდა, ფიცრის ჩასაფურთხი, ქვეშით სავსე, კალათა, რომელშიაცა ეწყო ცარიელი ბოთლები, ორი ვაქსის ჩოტკი და ერთიც წი-თელი მრთელი აგური. ამ თეკლემ ყველა წერილად უამბო თავის ჩინოვნიკს.

— ახალი მდგმური გადმოსახლდა, სიმონ სიმონიჩ, უთხრა თეკლემ.

სემენ სემონიჩმა, მოსწია ბურნუთი, გაისწორა გულის ჯვარი და ჩუმათ იყო.

, მდიდარი უნდა იყოს, დაიწყო კიდევ თეკლემ. დაი-ჭირა ის სადგომი, რომლის კიბე გადის ქუჩისაკენ, და ფა-ნჯრებიც ქუჩას გაჰყურებს, თვეში რვა თუმნათ.

ჩინოვნიკი მაინც ჩუმათ იყო.

— შა'დნებში, მგონია წყეილში ათი თუმანი იყოს-მი კემული! სტოლები, სკამები ხომ! დივნები წითლები და მწვანეებიკ, რბილები! კორიდორში რომ იდგა, ერთზედ დაკ-ჯექი და წელამდინ შიგ ჩავიფალი·

„ სადამდინ ჩაიფალი? ჰკითხა სიმონ სიმონიჩმა ღიმილით·

— აი, აქამდინ. და აჩვენა წელი.

— სადა მსახურებს, ის კი არ იცი?

„ ვერ მოასწარი იმის მსახურისთვის მეკითხა· მაგრამ ეკითხამ კი.

— კარგი და კეთილი! მოიტა სადილი გაშალე· რასა-ჰქიროა ჰორიკანაობა, ლამაზი მდგმური ქალიკი, როგორც კატა ისე დახტოდა და ცელქობდა ტალანში, იმან კიდეც დაუწყო ლააპრაკი აველის.

— ვინ არის შენი ბატონი? ჰკათხა იმან.

„ ვინა? ბატონია, ქალბატონო.

— ვიცი რომ ბატონია, მაგრამ ვინ არის?

„ არ ვიცი· მაიორია, თუ სოვეტნიკია რაღაც: მგონია უფრო პოლკოვნიკი უნდა იყოს?

— სად არის ის?

— სადილის მისართმევათ იქნება სადმე.

„ განა სადილს შინ არ მიირთმევს! მდიდარია? კითხუა კითხუაზედ მოაყარა სეტყვასავით.

„ გამიშვი, შემოვიდე, ვნახო თქუენი ოთახები, მინამ

ბატონი შინ არ არის.

,, მოძმ.ნდით ქალბატონო: მაგრამ ჯერ დალაგებული არ არის.

ის მევარდა, ყველა გასინჯა, ყველა მდივანზედ ჩამოჯდა, ყველა კრესლაზედ და როგორც ფრინველი, ისე იცელქა.

— მოიცა პ.ტარა, შენ ეშმაკის ფეხო! თავისათვს ბუტ-ბუტებდა აედეი და თან. ალაგებდა მებილეებს, თითონ ის შენ ყველაფერს გიანბობს, დაგსვამს კიდეც და აგაყენებს კიდეცა, მაშინ იხტუნებ ბევრს აი!

ბოლოს აედეი, ამ ფაცაფუცის შემდგომს, ცოტა ლაპარაკიც მოუვიდა სახლის მცველის მცნობ დედაკაცთან, სტეფანიდა ეგნატიევნასთან.

„ რაო, დედაკაცო, ეს ჩულ-ფალასები რაები დაგიყრია გზამი? აალაპე, უთხრა აედეიმ.

„ მოიცადე ავალაგებ.

„ რა მოვიცადო. ბატონი მოშიეა და ერთ ყოფას დაგაწევს.

,, ოჰ, ძალიან მეშინიან შენი ბატონისა! რა ყოფას დამაწევს? თითქოს, ხამი ვიყო, ჩინოვნიკი არ მენახოს! თითონ ჩუენ ჩინოვნიკები ვართ.

-- აალაგე ბებერო, ქოფაკო!

,. ილანძღება კიდეც! მოიცა ჯერ ჩემს მებატონეებს უთხრა, ისინი გ ჩვენებენ შენ თამაშასა, მე შენ გაჩვენებ თამაშას; თავ მოლოპრილო, პოსლიკავ შენა!

დედაკაცი ძლიერა ყვიროდა. მაგრამ ავდეიმ კარები მო-უკეტა.

— უხ! სთქვა ავდეიმ, და თან ოფლს იწმენდავდა შუბ-ლიდგანა, დავიღალე! დილას აქეთ. პირში ნაყრი არ ჩამიდვია. ცოტა მესაუზმა მაინცა მემინიან, თორემ დუქანში წავი-დოდი; ყაი თუ დამიგვიანდეს, მალე ვერ შოვიდე. მგონია, ახლა დაკეტილიც იყოს. გვიან არის. არ ვიცი რა და-ელით.

იმან გააღო პატარა შკაფი, გამოიღო იქიდან ოთკუთხ-ხიანი, დაწნულ ჭილოფში გახვეული, მომწვანო შუშა, შე-მდგომს დაკეტა ისევე კარები, დაასხა რუმკაზედ და დასდგა სტოლზედ. მიიხედ-მოიხედა ოთხ კუთხივ.

„ რა ბოთლია! ლაპარაკობდა დაცინებით თავის თავს, ან შიგ რა ეშმაკია. თითქოს, ჩუტინებური კასიაო. ლიკერს კი ეძახიან! სამი მანეთი ამისთანა ბოთლი! ჰა! მერე, მერე ღირს? რაზედ აბნევენ ფულებს ოხრათა! ყელს როგორ არა სწვამს მიკვირს. ამ უკანასკნელ სიტყვის თქმაზედ, აიღო რუმკა და ერთის მოსმით, მრთლად გადაყლაპა.

— ფუ, რა საძაგელი რამ არის! ამბობდა დაღრეჯით, მეორე რუმკაც დაასხა, ესეც ერთის თვალ დახამხამებამდინ, გადაჰკრა.

— ღმერთმანი საძაგელი რამ არის!

ეს ის დრო იყო, როდესაც ივანე სავიჩი, მოდიოდა შინათკენ, წამოუშო წვიმამ, იმგვარმა წვიმამ, რომელსაცა ბოლო აღარა აქვს.

ივანე საე-ჩმა ჩამოჰკრა ზარსა, არავინ გამოჩნდა მე-ორეთ ჩამოჰკრა, არა ვინ პასუხი არ-აღირსა. მესამედ ზარის ჩამორეკაზედ, შემოესმა სახლის მცველს ფეხის ხმა.

„ ღმერთო ჩემო, მოილაპარაკებბდა მცველი, ეს რა ღუთის რისხვა არის? ერთს მინუტს მოსვენება არ რის! ცო-ტა ჩამეძინა თუ არა,და, მოვიდა ვიღაცა ეშმაკი, ვინ არის მანდა?

— მე.

„ ვინ შენ?

— ახალი მდგმური;

„ რომელი მდგმური?

— დღეს რომ გადმოველით.?

„ რა გინდათ?

— როგორ რა მინდა: შემომიშვი ჩქარა, ხომ მხედავ, წვიმას ქვეშ ვარ.

„ ჰო, ჰო, ვიცი, ვიცი, ცოტა დამაცალე, წავიდე გასაღები მოვიტანო.

სახლის მცველი წავიდა და დაიკარგა. წვიმა უშენდა ძრიელად.

ივანე საეიჩმა კიდევ დაიწყო ზარის რეკა რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მესამედ დარეკის შემდგომს, შემოესმა სახ-ლის მცველის ფეხის ხმა და იმისი ბუტბუტი.

— რა ანბავია, ღმერთო, ეს რა არის, კაცს მოსვენებასაც არ აძლევენ. ამისთანა წყეული სამსახური, არ გაგონილა..

ერთს ნამცეცს არა ვინ მაძინებს.

„ვინ არის მანდ?

— არ გესმის, რომ გეუბნებიან, მე ვარ!

„ვინ შენ?

— ახალი მდგმური.

„კიდევ მანდა ხარ თუ? არ წასულხარ? რა გინდა?

— როგორ თუ რა? აჰ, შე ავაზაკო! შემომიშვებ თუ არა, წვიმამ ძვალში შემომატანა.

„მოიცა, წავიდე გასაღები გამოვიტანო.

ის წავიდა და ივანე სავიჩის ბედზედ, მაშინვე გამოტრიალდა და გასაღები შეუყარა კარებს გასაღებათ.

— ჩქარა, ღვთის გულისათვს, უთხრა ივანე სავიჩმა.

„სადმე დაიძინებდი ამაღამ შე დალოცვილო, აბა რა ვქნა, ის გასაღები არ არის, შემცელია.

ბოლოს როგორც იყო, ნახევარ საათს უკან შევიდა თავის ახალს სადგომში, იმ დროს, როდესაც ავდეის უნდა დაელია მესამე რუმკაც, უცებ კარები დაურახუნეს. ავდეიმ მაშინათვე დამალა ბოთლი და რუმკა შკაფში, მოიწმინდა ტუჩები და გაუღო კარები.

შემოვიდა ივანე სავიჩი.

— რაო, ავდეი, ხომ ყველა დაალაგე? ჰა! სუს, შენ ჯერ არაფერი არა დაგილაგებიარა.

„მე ერთი ვიყავ, ორი ხელი მაქვს, მიუგო ავდეიმ.

— კიდეც ეგ არის რომ უნდა დაგელაგებინა, რომ ორი

ხელი გაქუს. ერთი ხელი რომ გქონიყო, მაშინ სხუა იყო.

ავდეიმ გულს მოსულმა გვერდზედ შეხედა.

„მადლობას ხომ არ იტყვის, აჰა! რაც უნდა გააკეთო მაინც დაგიწუნებს, ესა სთქუა და ბუტბუტით კუთხეში დადგა.

— რაო, მეზობლის ქალი ნახე თუ ვერა?

„რა მოგახსენოთ, არ ვიცი.

— მაშ არ გინახავს, არც გილაპარაკნია?

„არა! რას თავში ვიხლიდი იმასთან ლაპარაკსა,

— როგორ თუ რა თავში... ეს ვისი ხელცახოცია?

ავდეი ჩუმათ იდგა.

— ვისი ხელსახოცია? განიმეორა ივანე სტეიჩმა.

„რა მოგახსენოთ, არ ვიცი.

— როგორ თუ არ იცი, აქ ვიღაცა ყოფილა.

„არა, ეგ უთუოთ მდივანი რომ ბალკონში იდგა მინამ მემოვიტანდით, იქ დარჩა ვისმეს! მიბოძეთ აქა, ხვალ შევიტყობ.

— აი კარგი შემთხვევა. ხვალ ჰკითხე იმ მეზობლის ქალსა, იმისი ხომ არ არის და ჩემზედაც უთხარი რამე ყველაფერი შეიტყე.

— როგორ ყველაფერი შევიტყო.

— ჰკითხე გარემოება, მეც რასაკვირველია მაქე.. თითქოს ეს შენთვის პირველი იყოს..

— რისთვის მერე ბატონო, რა საჭიროა?

— როგორ თუ რა საჭიროა... გაეიცნობ. მერე გავეთამაშ-გამოვეთამაშები.

„იქნება აქაცა გსურს დაიწყო რაღაც-რაღაცაები, და ერთს ხიფათში გაეერიენეთ. ერთს სირცხვილში ჩავარდეთ. რის ყოფით ერთს მარს გადარჩით, ახლა გინდათ მეორეში ჩავარდეთ! ღმერთმან იცის ივან სავიჩ, ბატონო, გამიგონეთ, ყოველთვის კოკა წყალს ვერ ზიდავს, ერთხელ ცუდათ წააწყდებით სადმე.

— ეჰ, შენ ვინა გკითხავს, ბარი ათ მაურათ არისო. შენ რასაც გიბძანებენ, ის აღასრულე. მოკლე სიცოცხლე აქვს კაცსა. გათამაშება და გამოთამაშება ჩუენის სიცოცხლისათვს ძრიელ საჭიროა, სასარგებლოა!

„არა, ჩემო ბატონო, მე კი საქმე არა მაქვს, თქუენ როგორც გერჩიენოთ, ისე მოიქეცით. ჩემი ვალი იყო მეთქო, ახლა თქუენ იცით.

— ოჰ, ოჰ, ოჰ! დაამთქნარა ივანე სავიჩმა, ღამე მშვიდობისაო, ცხრა საათზედ გამაღვიძეო, უკანასკნელად უთხრა ავდეის, შევიდა სპალნაში და დილით, როდესაც ავდეიმ სამოვარი შეიტანა, პირველი კითხვა ივანე სავიჩისა ის იყო.

— აბა რაო, რას იტყვი მეზობლის ქალზე?

ავდეი ჩუმათ იყო,

„ჰა?

— არაფერი, ხელცახოცი მივეცი.

— განა ის ხელცახოცი იმისი იყო? მერე? ჩემზედ არა უთხარი რა?

„ უთხარი·

რაო? რა გითხრა?

„ რა მითხრა, კარგი მეზობელი, ყოველთჳს სასიამოვნო არისო, თუ რომ დაგჭირდეთ რამეო, გვითხარითო; ვეცდებით ხელი გაგიმართოთო. ან პიროგების გამოცხობა მოგინდეთო, ან სხუა რამეო·

ივანე სავიჩმა თვალები გააჭყიტა ამ სიტყვებზედ.

— როგორ პიროგები?

„ პიროგები, რა როგორ? ხორცით, თუნდა თევზით, როგორც ინებებთ· დამავიწყდა, ან პერანგების მეკერვა თუ გინდოდეთო!· მე შემიძლიანო.

ივანე სავიჩი მეტის სიამოვნებისაგან ქვეშაგებითგან ჩამოხტა.

„ როგორ პერანგები?

— ჰო, კიდევ..დაიწყო ავდეიმ,

— გაჩუმდი! აღარა თქო რა! ახლავე სხუა სახლი მოძებნე. ეს სად ჩამოვარდნილვარ? დაიკარგე აქედან!

„ რასა ბრძანებთ, ჭკუაზედ მოდით ბატონო ღმერთი გადღეგრძელებთ· თქუენ რა გენაღვლებათ, ჩუენთჳს უფრო კარგი არ არის.

— იმისთანა ლამაზი და პიროგებსაც აცხობს! ანბობდა თავისთჳს ივანე სავიჩი. საშინელებაა! მერე..ისიც რითი..

„ თევზით და ხორცით დაუმატა აედეიმ.

-- შენ ხმა ჩაიწყვიტე, უგუნურო, შენ არავინ არასა -გკითხავს.

„ მკითხე, არა მკითხე, რა ლამაზი ის არის, რომ აგრე თავს იკხელებთ, თვალები ჭრაქის ქილას მიუგავს, და, მგონია კბილიც ერთი აღარა აქვს პირში.

-- შენ ძალიან ბევრი გესმის! მიუგო ივანე სავიჩმა, თან-ფეხებს აწყობდა ტუფლებში; ისეთი ყმაწვილი ქალი, და, პერანგებსაცა ჰკერავს ჰა?

„ რაღა ყმაწვილია, ორმოცდა ათ წელიწადზედ მეტი იქნება, უთხრა აედეიმ.

—როგორ ორმოცდა ათისა? განა შენ რომელს ელაპარაკე?

„ რომელსა ეელაპარაკე, იმას, ვისაც სახლი უქირავს ქირით.

— ბებერს დედაკაცს? რატომ არ მეტყვი მერე აგრე? ვინ გითხრა მერე იმ ქოფაკს ელაპარაკო ჩემზედაო.

„ აკი თქვენ თვთან მიბრძანეთ წუხელის.

-- მე გიბრძანე! უთხრა გაჯავრებით ივანე სავიჩმა, მგონია ისე გითხარი, რომ გაგეგონა, განა შეიძლება გათამამებ-გამოგათამაშება იმისთანა ბებერ ქოფაკთან? შენ რომ ყოფილიყავი, ან შენთვს სასიამოვნო იქნებოდა? ყოველთვს შენ მე საქმე უნდა წამიხდინო! მაგრამ არა უშავსრა... დაეხსენი პიროგები გამოგვიცხოს, ის ახალ გაზდა ქალი?

ვინ არის ისა?

• ის იმ ბებერთანა დგას, ორი ოთახი უჭირავს

იეანე საეიჩი იმ დღეს არ წავიდა სამსახურში, იმ მიზეზით რომ ახალს სახლში გადმოვიდა· ავდეი ალაგებდა მებილებს და თვთან კი გადაიცვა ხალათი, გაალო კარები და იყურებოდა პირდაპირ მეზობლის კარებისაკენ. ეს იმისათვს გახლდათ, გათამაშებუ გამოთამაშება.

• განა დღეს არ მიხვალთ სამსახურში? ჰკითხა ამვდეიმ· დრო აჩაიცოთ, თერთმეტი საათია..

-- არა, არ წავალ სამსახურში? ეგ უბრალო საქმეა; უნდა კაცმა სიცოცხლით ისარგებლოს. მოკლე სიცოცხლე გვაქვს, სთქვა, არ მახსოვს კი ერთმა ვიღაცა ფილოსოფოსმა.

პირდიპირ ოთახში, რომლის კარები ცოტათი ღია იყო, ხედავდა ხან კის ეის კაბიანსა, ხან თვთან სახეს დაინახავდა ქალისას რომელიცა იყო ლამაზი; და ხან ბებერს დედაკაცსა· პატარა ხანს უკან. შემოესმა იმ ოთახითგან ფორტოპიანოს ხმა· უკრამდნენ რობერტითგან.

-- ნეტა ვიცოდე ვინ უკრავს? ფიქრობდა იეანე საეიჩი, რასაკვირველია ის იქნება; ის ახალ გაზდა ქალი. რა მიჰქარა ავდეიმ, პიროგების გამოცხობა იცისო.. რა ამის საქმეა პიროგები·

აილო იმან სკრიპკა და დაუკრა ამანაც. იქ გაწყვიტეს ფორტოპიანოს დაკვრა·

— აი, სჩანს, რომ ის ქალი კარგი ყოფა ქცევის ქალია;
იფიქრა ივანე საეიჩმა, სხვა რომ ყოფილიყო უფრო დაუ-
კრავდა. შეიხედა სარკეში და დაივარცხნა ბეკები.

ამ დროს განმავლობაში ცოტ-ცოტათი პირდ-პირ კარი
გაალეს, ბოლოს ორივე კარები სულ ერთიან გაიღო.

„ოთახში ბოლი დგება, უთხრა იმ ოთახში მდგომმა
დედაკაცმა ავდგის. ზაფხულში კარებს ყოველთვის ვაღებთ.
ეს მეორე წელიწადია სულ ვეუბნებით სახლის პატრონს,
რომ გაგვიკეთოს რიგიანათ, მაგრამ არა გვეშველა რა, იმათ
მარტო ფულის წაღება უყვართ.

გაიარა ორმა დღემ. მეზობელი ქალი თან და თან ხშირად
გამოჩნდებოდა ხოლმე. მერე აღარ ერიდებოდა, ბოლოს,
არ იყო რომ გაიღიმებდა კიდეც. მესამეს დღეს, რა შემოვი-
და სახლის მცველი, ჰკითხა ივანე საეიჩმა.

— რაო ჩემო საყვარელო; ამ ჩემს მეზობლებს ქმრები
რომ არსად უჩანთ? სად არიან?

„სხვაგან არიან გაგზავნილნი დროებით სამსახურში

— ოჰ! სთქვა ივანე საეჩმა, ეს უფრო კარგი. კიდევ
ვინა დგანან თქვენს სახლში? აგერ იქით, დიდს სახლებში?

მცველმა უთხრა ვინც იდგნენ.

— აგერ, აი იქ, მეორე ეტაჟაში, ფანჯრებში რომ მშვენიე-
რი ფარდები მოჩანს.

— იქ, გამოჩენილი ქალბატონია; უცხო ქვეყნიდგან.

— გესმის ავდეი; გამოჩენილიაო; ეს რასა ნიშნავს? უთუოდ

იმისათვის არის გამოჩენილი, რომ ამ ჩვენს სახლის მცვე-ლს ოტკის ფულს ბევრს აძლევს.

• რა მოგახსენო, არ ვიცი, მიუგო აედეიმ.

— ვნახოთ, ვნახოთ, იქნება ისიც გავიცნოთ, სთქვა ივანე საიჩმა და თან ბეჯეშზედ ხელი ჩამოისო-

ის მაინც ხშირად უყურებდა, მეზობლის ქალის ოთახსა, ერთხელ დაინახა კარებში, ექვსი წლის ქალი.

— აედეი, შვილი ხომ არ არის ეს იმისი?

• რა მოგახსენო ი; არ ვიცი, მიუგო აედეიმ.

— შენ თავის დღეში სულ ეგ უნდა იძახო, რომ არ იცი. მაშ რა ეშმაკი და ქაჯი იცი. რილასათვის სჭამ პურსა? არა, არა მგონია იმისი შვილი იყოს. იმისთანა ახალ გაზდა ქალს ამოდენა შვილი, რა დასაჯერებელია!

ბოლოს შეიტყო, რომ ეს ქალი დის წული იყო, მეზობლის ქალისა, დაიბარა თავისთან, რა მოვიდა მისცა კანფეტი და ამ სახით დაიწყო დამოკიდებულება. იმათ კიდეც დაუწყეს ერთმანერთი თავის დაკვრა, ერთხელ ყმა-წვილმა შემოუტანა თვის ვარდი.

• თუ გნებავთ მე თქვენ გაჩუქებთ. უთხრა ყმაწვილმა.

-- მაჩუქე. ვინ მოგცა ეს ვარდი?

• ლამაზმა დედიდამ.

-- მერე რა გითხრა?

„ წაიღე და აჩუქე, აგერ პირ და პირ იმასო, უთხარი რომ შენ აჩუქე, მე არ გამახსენო, თორემ ყურებს გაგიწევო.

— აი, სულიკო, კანფეტი, ეს ბრასლეტიკი მიუტანე დედიდას და უთხარი, რომ მე შენ გაჩუქებ, გესმის?

„ მესმის.

— აბა, როგორ ეტყვი?

„ ვეტყვი, ძიამ მაჩუქა და მე მენ გაჩუქებ მეთქი.

ამ დროს უცებ შემოვარდა ოთახში, ახალ გაზდა ყმაწვილი კაცი.

„ გამარჯობა, ვანო, სთქვა იმან; ძლიეს გიპოვნე. სუს! ეს რა ანბავია ვანო? ჰკითხა, რა ნახა ვარდი, პატარა ქალი და ბრასლეტი.

— არაფერი, ვასია! ღიმილით მიუგო ივანე საფიჩმა, წადი სულიკო შინ, მიუბრუნდა ყმაწვილს.

ყმაწვილი გაიქცა შინისაკენ და გააღო კარები, საიდანაც გამოყო თავი ლამაზმა ქალმა.

„ ე, ე! ჩემო ძმობილო, მალავ კიდეც. უთხრა ვასიამ. კარგი, ძალიან კარგი. აი შე ეშმაკო! აი პლუტო! აბა ერთი მეც მაჩვენე ის, შენი..

ის მივიდა კარებთან.

— არა, ჩემო მეგობარო, მოიცა! არ არის კარგი! ნუ უყურებ! ეუბნებოდა ივანე საფიჩი და ულობავდა გზასა. აბა რას იფიქრებს? ეგ ხომ იმისთანა არ არის..მერე ყველას გეტყვი.

„ არა, არა, გამიშვი, მე შენ არ დაგიჯერებ.

— არა, ძმავ, არ შეიძლება. შენი ჭირიმე ნუ მიხვალ.

„ მაშ შენ თითონ გამაცანი. გაძლევ პატიოსან სიტყვას, რომ მე შენ არ წაგართმევ. მართლა, დღესაც ერთათა ვართ სადილათ ერთ' ალაგს, ხუთნი მეგობარნი.

-- მე არ შემიძლიან.

„ რისთჳს?

-- ისე? უთხრა ღიმილით ივანე საეიჩმა.

„ ჰო მესმის! ბედნიერი ხარ! ხვალაც თეატრში ვართ! გესმის, ჩემო ძმაო. არ შეიძლება არ წავიდეთ, რას იტყვიან ჩუენი მცნობები? მერე იქიდან რომ გამოვიდეთ და შევიდეთ სადმე ქეიფის გასაწევათ.

— არ ვიცი ძმაო.

„ რა არ იცი რომ შუშინმა, ნახევარ წლის ჯამაგირი ჯილდოთ მიიღო, ნახევარ დუჟინს შაფანსკის დაგვპირდა, გესმის, გელით აი.

ეს სთქუა და გავარდა მოჩვენებასავით, ივანე საეიჩი კი დაჯდა წიგნი ხელში, პატარა დივანზედ, კარების პირ და პირ. რომ შეეხედნა ესმის და ენახა, ბევრს გაიცინებდა, ამისათჳს, რომ წიგნი თავდაყირა ეჭირა. გავიდა სამი კვირა. ისინი თავს კიდეც უკრავდნენ ერთმანერთი, თავთავის კარებზედ იდგნენ კიდეც და ისე ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, და თუ ვინმე გამოიელიდა, ან ზემოდან ჩამოვიდოდა, ორივე იმალებოდნენ კარებს უკან, უცებ, მეზობლის ქალი აღარ გამოჩნდა, კარებიც დაკეტილი იყო შიგნიდგან. ივანე საეიჩი შეფიქრიანდა.

— ავდეი! ჩუენ მეზობელს ქალს კარები რათა აქუს მოკეტილი?

„ რა მოგახსენოთ, არ ვიცი.

— ხომ არსად წავიდა?

„ რა მოგახსენოთ, არ ვიცი.

— სულ ეგ უნდა თქო, არ ვიცი და, არ ვიცი, ეშმაკმა წაიღოს შენი თავი, წადი მაინც შეიტყე ავათ ხომ არ არის.

ავდეიმ მოიტანა ამბავი, რომ ანნა პაულოვნა ავათ იყო, და სთხოვა, მისულიყო სანახავათ ივანე სავიჩი.

— როგორ! მთხოვა იქ შევიდე? განკვირვებითა სთქუა ივანე სავიჩმა, და დაიყვირა; ავდეი! ჩქარა, სამართებელი, ტაშტი, წყალი, სავარცხელი! ჩქარა! . .

ისე აჩქარდა სიხარულით რომ, ორ ალაგს მოპარსვაში გაიჭრა ყბა, რომელზედაც დაიკრა მავი ანგლიის პლასტირი, იფიქრა, ასეც უფრო კარგათ გამოვჩნდებიო. მოატანინა თავზედ წასასმელად ხუთ მანეთიანი პომადა, ზეკები დაისველა სასუნებლით, ხელცახოცი დაინამა ვარდის ზეთით, ყელზედ მოიხვია ცისფერი ყელსახვევი და ჩამოუშო ძირს მანჟეტები. ფეხებზედაც რასაკვირველია ჩაიცო ლაკიროვანის საპოშკები. და ამ სახით, ასე კეთილ სურნელებით წარუდგა მეზობელს ქალსა ის იჯდა მოკეცილი ხალიჩაზე, შეხვეული შალში და ყელი ჰქონდა შეხვეული.

ანნა პაულოვნას სადგომი იყო, მილაგ-მოლაგებული

დივანი იდგა წითელის ხისა, რომელსაცა გადაკრული ჰქონდა ჩირქიანი აბრეშუმის მიტკალი, ნახევარ დუჟინი სკამი, აგრეთვე წითელის ხისა, ძველი კამოდი და ზედ პირის სამკაული· ფანჯარაში, გარშოკებით ყვავილები ეწყო და ორი ყაფაზაც ეკიდა, რომელშიაც ისხდნენ კანარეიკები.

ივანე სავიჩმა იცოდა, ამ გვარ ვიზიტზედ როგორც უნდა მოქცეულიყო· რა შევიდა, ჯერ შედგა, მერე თავი დაუკრა და გაუღიმა.

— ბოლოს, თქუენთანა ვარ! სთქუა იმან, რა მიიხედ-მოიხედა, იქნება ეს მართალი იყოს? სიზმარი ხომ არ არის ესა?!

» იქნება ეს სიზმარი არ მოგწონთ თქუენა? არის იმისთანა სიზმრები, რომელნიცა არიან შესაწუხებელნი, მოსაბეზრებელნი, მიუგო ქალმა ბნელის ღიმილით, გამოიღვიძეთ, ადვილია·

ქალმა კიდევ გაიღიმა.

» დაბძანდით, უთხრა ქალმა. გმადლობ მონაწილეობის მილებისათვს· მაგრამ, მიკვირს, როგორ მოგაგონდით ორი დღის შემდგომს·

— მე არ მოგიგონეთ. მოიგონებენ მხოლოდ იმას, რაც დავიწყებულია. მე თქუენ არ დამვიწყებიხართ? რატომ აგრე ხართ?

ქალმა შეხედა ნაზათ და ჩაჰკიდა თავი.

» ცოტათ შემცივდა, მიუგო იმან. მე მგონია ამისათვს·.

რომ.. ზოგჯერ· რომ ვდგევარ.. ხოლმე კარებთან.

ქალმა ამოიოხრა.

ივანე სავიჩმა შეხედა ნაზათ, ქალი გაწითლდა· ისინი რამდენსამე ხანს ჩუმათ იყვნენ.

„ თქჳენ იშვიათათ ხართ ხოლმე შინა? ჰკითხა ქალმა.

— არა. დიახ..

„ ხშირათა გყავს ხოლმე სტუმრები?

— დიახ., არიან ხოლმე ზოგჯერ,

„ ის ყმაწვილი კაცი ვინ არის? ხშირად რომ იყურება· წითელ თმიანი, ოჰ რა საზიზღარია!

— მოიცა..იფიქრა ივანე სავიჩმა, ჩემ თავს ღირსებას მივცემ, ის არის გრაფი გორკინი; ჩინებული ყმაწვილ კაცია მრთელს პეტერბურღში.

„ მეორე ვიღაა სათვალებით?

— ბარონ კიზელი. ჩინებულათა თამაშობს ბელიარდსა,

„ რა წაირათა ყვირიან? რას აკეთებთ ნეტა, რომ ისე ყვირით?

„ ვეტყვი ჯანი წაუვიდეს, როგორცა ელოთობთ, დედაკაცებს ამისთანაები ძალიან მოსწონთ, იფიქრა ივანე სავიჩმა,

— ელოთობთ. როდესაც შეიყრებიან ხოლმე ისინი ჩემთან, სწორეთ იფიქრებს კაცი, ბაბილონის გოდოლი შენდებაო, უფრო მაშინ, როდესაც ჩჳენთან არის ხოლმე კნიაზი დუდკინი; სათამაშო ქაღალდი, შამპანსკი, ხოხბები, ვინ იცის

რაები არა. როგორც რიგია, დიდი კაცის შვლებში, ხომ გაგიგია?

„ მერე არ გეაფსუსებათ, რომ ფულებს აფუჭებთ შაპანსკეზზედ?

—რათ უნდა ეაფსუსებოდეს კაცს ფული. ფული ხელის ჭუჭყია. სიცოცხლე მოკლე გვაქუს, როგორცა თქუა ერთმა ფილოსოფოსმა; უნდა კაცმა მინამ დრო აქუს ისარგებლოს სიცოცხლით.

„ ხედამ, როგორი ყოფილხართ!

—დიახ! სთქუა ესა და ამოიღო ჯიბითგან ხელსახოცი; სუნი გაიბნა მრთელს ოთახში ისე, რომ თითქმის მეორე ოთახითგან ბებერმა დედაკაცმაც კი გამოყო თავი.

„ სადა ყიდულობთ, დუხსა? რა მშვენიერია! ჰსთქუა ანნა პაელოვენამ და ცხვირით სუნავდა ჰაერსა, ეს სწორეთ ნეტარებაა, რომელშიაც იფლობა ადამიანი.

— ანგლიის მაგაზიაში.

„ რა არის ფასი?

— ერთი თუმანი.

„ ოჰ, რა ძვირია ამ ქუეყანაში ყველა მასიამოვნებელი, სთქვა ანნა პაელოვნამ ამოხვრით.

— იმისათვისაც, მაგარია ასე და! რაც უნდა გაირეცხოს ხელსახოცი, მაინც სუნი არ გამოელევა. ნება მიბოძეთ, მოგართოთ ერთი შიშა ნიმუშათ.

„ რას მიბძანებთ, მე ისე გკითხეთ.. ნუ იფიქრებთ რომ .

— არაფერი. მე თქუენ ხვალვე მოგართმევთ. ძალიანი მაწყენინებთ, თუ არ მიიღებთ ჩემგან ამისთანა უბრალოს რასმეს.

„ოჰ, დამავიწყდა, თქუენ გეჩუქებინათ ჩემი ძმისწულისათვს ბრასლეტი, მე გავიკეთე მაჯაზედ, ჰაი, ხედავთ?

— ძალიან სასიამოვნო არის, მაგრამ არ ვიცოდი, თუ რომ.. თქუენ მეტის ღირსი ხართ.

„ სხუა რას აკეთებ?

— დავდივარ თეატრში.

„თეატრში? ახ, რა მშვენიერია! თეატრზედ უკეთესი ნეტა რაღა იქნება! ნეტარებაა! თეატრში ივიწყებ ყოველ მწუხარებას, კითხულობთ კიდეც რასაკვირველია?

— რასაკვირველია.

„რასა? პუშკინის ლექსებს?

— არა, მე ვკითხულობ, უფრო საფილოსოფო წიგნებს.

„რომელს? თუ შეიძლებოდეს მათხოვე. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს საფილოსოფო წიგნები.

— მე ვკითხულობ, გომერის თხზულებას, ლომონოსოვისას, ენციკლოპედიის ლექსიკონს . . . სთქუა იმან . . . თქუენ ამაებს ვერ წაიკითხავთ, მოგბეზრდებათ.

„უთუოთ მაგ ფილოსოფოზებს უთქვამთ, რომ ჩუენი სიცოცხლე მოკლეა.

— დიახ.

„ჩინებულათ არის ნათქვამი!

ფილოსოფებითგან გადავიდნენ უცებ მეგობრობაზედ, სიყვარულზედ.

,, მეგობრობაზედ უკეთესი რა იქნება, სთქუა ქალმა და აბრიალა თვალები მაღლა.

— სიყვარულზედ უსიამოვნესი რა იქნება ქუეყანაზედ! წამოიძახა ივანე სავიჩმა, რა შეხედა ალერსით, ეს არის სიცოცხლის დამატკბობელი, რა კარგათა ვთქვი! ეს უკანასკნელი სიტყვა სთქუა თავის-თვის.

,, რა არის სიყვარული! შენიშნა ქალმა. სიყვარული არის დამალუპავი გრძნობა. კაცები სულ მომტყუებლები არიან, სთქუა და ამოიოხრა.

ივანე სავიჩი მიუახლოვდა და მიუჯდა გვერდზედ.

,, ეგ რა ამბავია? ჰკითხა ანნა პავლოვნამ.

— არაფერი, მე ისე ბედნიერი ვარ, რომ ვზივარ თქუენ გვერდზედ, ვსუნთქამ თქუენთან ერთის ჰაერით. გარწმუნებ, რომ მე სრულებით არა ვგევარ იმ კაცებსა.. ოო...თქუენც მიცნობთ ხომ! ჩემთჳს ქალი—ქალი არის ჩემთჳს საღმრთო ქმნილება..არაფერს დავზოგავ იმისთჳს.

,, მართლა? დაფიქრებითა ჰკითხა ქალმა.

— ღმერთს გეფიცები!

ისინი დიდხანს ლაპარაკობდნენ, მერე ჩურჩული შექნეს. იმათი ჩურჩულისაგან ჰაერი ისეთი ცხელი შეიქნა, ისეთი სურნელება გაიბნია, რომ ისინი უნდა შეერთებულიყვნენ და შე- ერთდნენ კიდეც, ქალს დავარდა ხელითგან ხელსახოცი, ივანე

სავიჩი დასწვდა და აილო, ქალიც დასწვდა ასაღებათ, ჭერი იმათი ერთმანერთს მოხდა, კოცნის ხმა გამოხდა.

„ახ! წყნარა წამოიძახა ანნა პავლოვნამ.

— ოოჲ წარმოსთქვა ივანე სავიჩმა აღტაცებით, რა მინუტია!

— დიდი ხანი არ არის, რაც ერთმანერთი გავიცანით და, სთქვა ქალმა და თვალებზედ ხელი მიიფარა. ასე მალე კი..

— განა ამისათვის დრო არის საჭირო? დაიწყო აღტაცებით ივანე სავიჩმა, საკმაო არის ერთი მხოლოდ ნაპერწკალი, რომ დასწვას გული.

კიდევ კოცნა გამოხდა, კიდევ..

— აი რას ნიშნავს გათამაშება-გამოთამაშება, ღმერთს გეფიცები, სთქვა დამშვიდებით ივანე სავიჩმა, სხვა სულ ყველაფერი, ჩინი, დიდება ტყვილია!

უცებ ვიღაცამ დააცემინა მეორე ოთახში.

— ვინ არის იქა! ჰკითხა, რა გაყვითლდა ივანე სავიჩი.

„ეგ ჩემი სახლის პატრონია, არაფერი უშავსრა, ეგ ჩემი ერთგული და სარწმუნოა, უპასუხა ანნა პავლოვნამ.

— ახ, ჰო, დამავიწყდა, სახლების ზედამხედავემა მითხრა, რომ თქვენი ქმარი დროებით სხვაგან არის ვითომც სამსახურში?

„დიახ წამოიბუტბუტა ქალმა..გავზავნეს..არაფერია..ის დიდხანს არ დაბრუნდება.

და გახურდა ლაპარაკი, ალერსი.

— მარტოკა მერე როგორა დგეხარ..?

ანნა პავლოვნა წამოწითლდა.

— მე მყავს ბიძა, რომელიცა არის აგრეთვე ჩემი ოპე-
კუნიც..

— მერე მოდის ხოლმე თქუენთან?

— კვირაში ორჯელ.

— რომ მომასწროს მე აქ?

,, არ არის კარგი რასაკვირველია, სთქუა ანნა პავლოვ-
ნამ შეწუხებულის სახით. თუ ღმერთი გწამთ ვინიცობაა
ის აქ იყოს, არ გამოჩნდეთ. მე და თქუენ ერთად ვიკითხ-
ავთ წიგნებს, დაუკრავთ მუზიკას, ვისეირებთ. არა?

-- ოჰ, რასაკვირველია!

— თეატრშიაც წამიყვანთ, არა?

— უეჭველად!

— ახ, რა ნეტარებაა!

ივანე სავიჩი მობრუნდა შინ, მეტის-მეტად გახარე-
ბული.

— რა ბედნიერი ვარ ახლა! იმეორებდა: ჰა, აი რას
ნიშნავს გათამაშება-გამოთამაშება. ეს იმას კი არა ჰგავს,
ამალია ნიკოლაევნას, ან კიდევ ალექსანდრა მაკსიმოვნას:
ისინი ამასთან, სირცხვილიც კი არის ახსენოს კაცმა. ამას
კაცი ძნელად მიეკარება. ხვალ კი, ისე ქუდ-ფეხზედა ვარ, რომ
წავალ ვასკამ რომ მითხრა, იქ, სადილათა. მაგრამ, ბევრი

კი ვეწვალე, შინამ ამ მშვენიერს მოვიგდებდი. ყველა ვერ მოაწყობდა ამისთანას საქმეს? ჰა, როგორა ფიქრობ შენ ადელი?

— არ ვიცი, რა მოგახსენო! მიუგო ადელიმ.

იმ დღითგან იოანე საიჩი ასე გათამაშებ-გამოთამაშებაში იყო. ხან ის იყო ქალის სახლში, ხან ქალი იმისას, სამ-სახურში ძალიან იშვიათად დადიოდა. იმას მხოლოდ ხე-დაღრენ ზოგჯერ მოყოლებულს, მიაარდნილს ქუჩაში ანნა პაულოვნასთან მკლავ-გაყრილს მოსეირნეებს, ტეატრში იმჩნევდა მესამე ეტაჟის ლოჟაში, ვალაცა ორ დედაკა-ცთან მჯდომარე. შინ გაუყრელნი იყვნენ ერთმანერთისა-გან. ერთად სადილსა სჭამდნენ, სვამდნენ, ერთის სიტყვით ერთად სცხოვრობდნენ.

— შენ რა რბილი დივანი გაქვს, უთხრა ახლად გაცნო-ბილს მეგობარს ანნა პავლოვნამ იოანე საიჩს, რა კარგია ამაზედ ჯდომა, საშინლად მიყვარს ამაზედ ჯდომა. ახ! რა ჩინებულია! სიცოცხლე რა კარგია! მერე ასე, ეს სწორედ ნეტარებაა!

— იცი რა, ჩემო ანგელოზო: მოდი ეს ერთი დივანი შენთვის წაალებინე. აი ეს მწვანე, რომელიც უფრო რბილია. მიუგო იოანე საიჩმა, მაინც ორი მდივანი მაქვს . . ., ამ მდივანის მრგვალი სტოლიც.

— რათა. . . . ვითომც გაუბედაობით უთხრა ანნა პავლოვნამ, ამისთანა მდივანს კარგათ იცი სულოჯან, ხა-

ლიჩაც კარგი ყრმა, მე რომ არა მაქუს, ყველას ხომ არა აქუს ბედნიერი ცხოვრება...

— აი ეს ერთი ხალიჩაც წაალებინე, მაინც ორი ხალიჩა მაქუს...

„ მაშ რადგანაც აგრე კეთილი ხარ, ჩემო სულიკო, ბარემ ერთი საჩუქარიც მომეცი. რომ ცოტა ხანს მაინც დავივიწყო ჩემი მდგომარეობა, უთხრა ჩუმათ ანნა პავლოვნამ.

— ინებე, ინებე, ჩემო ანგელოზო, ჩემო მტრედო, ჩემო... ჩემო თაიგულო...

— ერა, ავდგე, თაიგული არა არის!?

„ არა, რა მოგახსენო, ესა სთქუა პეტრემ და გაჯავრებული დაიწყო წინ და უკან სიარული, და თან რაღაცას ბუტბუტებდა.

„ დიახ, თაიგული, მე ძლიერ მიყვარს ყვავილები, და აბა თუ ერთხელ მიყიდო, უთხრა დაყვირებით ანნა პავლოვნამ.

— ხვალვე, ხვალვე ჩემო მტრედო... მრთელ გზას რომელზედაც დადიხარ, სულ ყვავილებით მოგიფენ.

„ კარგი გარემოებით აი, ეს უთხრა და შემოეხვია კასერზედ ხელი ქალმა.

— უეჭველად, მხოლოდ ბეკებს ნუ მიწყენა. დღეს დეპარტამენტში უნდა წავიდე. უნდა კვირაში ერთხელ მაინც დავხედო სამსახურს. ეხ, რა ეწუხარ, ანეტაჯან, რომ შენი თან ტარება არ შეიძლება, თორემ შენც წაგიყვანდი. მაშინ

ყოველ დღე ველოდი, მე ვწერდი და შენ ქაღალდებს გაკერვინებდი.. თუ არა და, რა უბედურებაა! პირდაპირ ეუბნე-რებ ნაჩალნიკს, მარჯვენა სტოლის ნაჩალნიკს, მარცხნივ პი-სარებს.. ოხ! დალოცვილო ღმერთო! და თუ მოვა ვინმე მთხოვნელი და, ისიც ბევრი დედაკაცები; ერთი იმისთანა არავინ მოვა, რომ ღიმიანი გაეთამაშ-გამოეთამაშოს. ოხ! სამსახურო, სამსახურო! ამბობდა და თან იჭიმებოდა, რა იწმენდა ვიცმუნდირს. მოვკალი ჩემი ყმაწვილ კაცობა, მკვდარ ქაღალდებში!

„ დიდ ხანს დარჩები იქ, ჩემო მეგობარო?

— მგონია ოთხ საათამდინ, და თუ შეიძლება ნაჩალ-ნიკი როგორმე მოვატყუო, შეიძლება მესამის ნახევარზე-დაც გამოვიდე.

„ აჰ, ღმერთო! საათი მაინცა მქონდეს.. ახლა რაიქნა, რომ არ მეცოდინება, როდის დაბრუნდები სამსახურითგან? ერთი საათი მეჩვენება ერთ საუკუნეთ, და სიცოცხლეში ბევრი სიამოვნება არა გვეჭირს.

— სწორეთ ჩემო ანგელოზო! უთხრა ივანე საყიჩმა, გახსოვდეს რომ სიცოცხლე მოკლეა, ფილოსოფოზის თქმით, ნუ ინაღვლი, რაც შეგეძლოს, იმხიარულე! საათის კი, სწორეთ რომ საჭიროა, შენთვს. აი, სულიკოჯან, ჩემი სტოლის საათი წაალებინე.

„ მე რომ არა მაქვს იმისთანა სტოლი, რომ ეგ ზედაც დავდგა.

— სტოლიანათ წაალებინე სულიკოჯან! ავდეი! ალე-სათი, სტოლიანათ და გაიტანე ამის ოთახში!

გაიარა ორი თვე. ივანე სავიჩი სულ ამ გათამაშებ გამოთამაშებაში იყო ანტრა-პაელოვნა სულ ოხრავდა და განკარგულებას აძლევდა ივანე სავიჩის საკუთრებაზედ. სხვ ურიგო რომ არ იქნებოდა,... . ბოლოს ყოველდღე ნახვა და დროს გატარება მობეზრდათ: ხან ერთი, ხან მეორე ამოქნარებდა, როდესაც შეიყრებოდნენ. ხან მრთელი ერთი საათი ისხდნენ და ერთმანეთს ხმას არა სცემდნენ. ივანე სავიჩმა დაიწყო ისევ ყურება სხვა ფანჯრებისაკენ.

— ავდეი, ვისი არის ეს მშვენიერი ეკიპაჟი? ჰკითხა ერთხელ, რა გადახედა ეზოს.

— რა მოგახსენო, არ ვიცი.

— შეიტყე!

ავდეიმ მოახსენა ხუთის მინუტის შემდეგ, რომ ის ეკიპაჟი იყო ერთი დიდის კაცის ქალისა, რომელიც იდგა მეორეს ეტაჟში.

— რა ჩინებული ცხენები ჰყავს, რა კარგათ აცვიათ მოსამსახურეებს. უთუოთ მდიდარი უნდა იყოს ავდეი?

— რა მოგახსენოთ, არ ვიცი.

მეორეს დღეს ნახა, რომ ბალკონზედ გადმოეფინათ ძვირფასი ხალიჩები და მტვერს აშორებდნენ. ავდეიმ კიდევ ის უთხრა, როდესაც ჰკითხა სავიჩმა, რომ არ ვიციო.

— აგერ, ის პატარა ფინია ვისასია? ჰკითხა ივანე სავიჩმა.

,, იმისია, ვისი უნდა იყოს. მიუგო ავდეიმ. წელან იმ წყეულმა, კინაღამ კანში გამამაგლიჯა.

— ახ, ერთი როგორმე გავიცნო, ის დიდი კაცის ქალია, ვიღაცა სთქვა ივანე სავიჩმა.

ივანე სავიჩი და ანნა პავლოვნა, მაინც მეგობრულად სცხოვრებდნენ და ყოველ დღე ერთად იყვნენ, მხოლოდ, ხან და ხან ამთქნარებდენ, როგორც ზემოთაცა ვთქვი, და ამთქნარებდა თითონ სიყვარულიც. ძნელია როდესაც ძილი მოერევა სიყვარულს. დაიძინებს და თუ დაიძინა, ის ძილი იქნება საუკუნო. ანნა პავლოვნა და ივანე სავიჩი, მდივნის ცალ ცალ კუთხეში ისხდნენ და გაბედვით აპირებდნენ ამ გვარ ძილსა; ხან და ხან გადახედამდნენ ერთმანერთს, ერთხელ ეს იმათი დამთქნარება გადაიქცა ძილათ. თავები გადაუვარდათ მდივანის უკანა მისაყუდებელ მხარეზედ. ივანე სავიჩსა, ძილი რომ მოერია, ცოტა არ იყო პირიც ღია დარჩა, აიწივ მაღლა ცხვირი. ხელში ჩაგრა ეჭირა ბალიშის ერთი კუთხე და ეძინა ღრმად. უცებ შემოესმა იმას ხმა: ახ! შემდგომ ყვირილი, იქვე გვერდითგან. იმან ყური არ ათხოვა, მაგრამ ყვირილი უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ერთის მინუტის შემდგომს გაახილა თვალები, რა ნახა? იმის წინ იდგა დაბალ-დაბალი კაცი ზრქელი, ხნში შესრული, გრძელის ულვაშებით, რომელსაცა, იგრიხდა გაჩხლებული და უყურებდა ივანე სავიჩს. ივანე სავიჩმა იმავე საათს ისევე დახუჭა თვალები, რა [illegible] სიზმარია! სთქვა იმან. კარგს ხომ არასა ნახავს კაცი,

უთუოთ ვილაცა ამისთანა მხეცი უნდა ნახოს ,, და მიაფუ-თხა პირდაპირ მოჩუენებას·

„ ივანე საეიჩ, ეგ რა ქენი ჰა! შეუძახა განცვიფრებით ანნა პაელოვნამ.

— არაფერი, ჩემო ანგელოზო, დამეხსენ ცოტა დავიძინო, უნდა გენახა, რა პირუტყვი ვნახე ახლა სიზმარში, ცხადად არ შეიძლება შეხვდეს კაცსა, ამისთანა მხეცი.

ანნა პაელოვნას გულს შეუწუხდა და გადაეარდა იმისის თავის ბალიშზედ რომელიცა იდო მდივანზედ·

„ მოწყალეო კელმწიფევ! დაიყვირა ვილაცამ ბოხის ხმით, შიგ ივანე საეიჩის ყურში.

— ივანე საეიჩი წამოვარდა გიჟსავით. რაო, რა ამბავია? ის მხეცი, რომელიც სიზმრად ეგონა, უდგა წინ, გულ კელ დაკრეფილი ნაპოლეონსავით.

— რაო? რაო? მომიტევეეთ! მე ასე მგონია სიზმარია მეთქი! წამოილუღლუღა ივანე საეიჩმა, შიშით ზარ დაცემული, კანკალით

,,ვინა ხართ? აქ რათა ხართ? ჰა? რა მიზეზით? უყვიროდა ზრქელი კაცი და თან უახლოვდებოდა ივანე საეიჩს.

— მე ბატონო? .. მე? .. მომიტევეთ .. მართლა, რომ მიყვირი რას მიყვირი, .. შეიმაგრა გული ივანე საეიჩმა და შეუტია დიდგულად ზრქელ კაცსა; და თან-და-თან კარებისკენ, უკან-უკან მიდიოდა -- მე ჩინოვნიკი ვარ, უბრალო კაცი კი არ გეგონო. დეპარტამენტში ვმსახურებ· .. მართლა,

რა გაყეირებს?..

იეანე საეიჩი გაეიდა კარებში, მერე ტალანში, და რომ უნდოდა შევარდნილიყო თავის სადგომში, გამოჰყვა უკან ანნა პავლოვნა, გაყვითლებული და კანკალით.

„ეგ ჩემი აპეკუნია..და..და..ჩემი ბიძაც ეგ არის. უთხრა იმან.

— აპეკუნია! ანზოზდა იეანე საეიჩი და თან უყურებდა კარებში ზრქელ კაცს. ძალიან ზრქელი აპეკა გყოლია დადგენილი.!

„ რა დროს ხუმრობაა. წადი და არ მოხვიდე, მინამ არ დაგიძახო. ოხ, ღმერთო, რით გათავდება ეს შემთხვევა! მე არ მეგონა, თუ ამ დროს მოვიდოდა, მშვდობით, მშვდობით და მგონია საუკუნოდ!

— ღმერთმა ქნას, წაიბუტბუტა იეანე საეიჩმა, მაინც მომბეზრდა ეს წყეული! მერე რა მჭამელი იყო! გაძღომა რომ არ ეკიდებოდა!..

იეანე საეიჩი მევიდა თავის სპალნაში, დაფერთხალ ძილის შესასრულებლათ. ერთი საათის შემდგომს კიდევ შემოესმა ხმა: „მოწყალეო კელმწიფევ!“ გაახილა თვალი. ისევე ის ზრქელი კაცი უდგა წინ.

— კიდევ ის საზიზღარი სიზმარი, სთქვა და წამოხტა ფეხზედ იეანე საეიჩი.

„ ოჰ, ეს თქუენა ხართ? ნება მიბოძეთ, გკითხოთ, ვინა ბძანდებით?

— მე ვარ ატსტავნოი მაიორი სტრეკოზა, უთხრა ზრქელმა.

„ სტრეკოზა! ფიქრობდა ივანე სავიჩი, კარგი სტრეკოზა ყოფილა! უთუოთ ეს ის სტრეკოზა არის, კრილოვს რომ გამოხატული აქუს.

„დიდი ხანია რაც იცნობ ანნა პავლოვნას? ჰკითხა სტრეკოზამ

— სამი თვე იქნება? რაო, რა გნებავთ?

„ გაჩუმდით, თქუჱნ კი არ უნდა მკითხოთ, მე უნდა გკითხოთ. მომიგეთ! ივანე სავიჩს უნდა ეთქვა კაი კვახე სიტყვები, მაგრამ ენა დაება.

„ როგორ გაიცანით?

—როგორ თუ როგორ! კარებითგან გავიცანი უფალო.. უფალო სტრეკოზა·

„ ვიცი რომ კარებითგან, და არა ფანჯრითგან, მაგრამ როგორ?

—როგორთუ როგორ! ღმერთო ჩემო! მეზობელი იყო და გავიცანი· პირველად მოვიკითხე, თავი დავუკარ, იმანაც მომიკითხა, თავი დამიკრა და მერე გავიცანით, ამას რაღა კითხვა უნდა.

„ მგონია, მარტო გაცნობა არ იყო თქუჱნში?.ჰა?

—მომიტევეთ უფალო სტრეკოზა; იქნება ფიქრობთ რასმეს...ვითომც..ვითომც ჩუჱნ'ში ცუდი რამ..არ დაიჯეროთ.. მე ისეთი უმანკო ვარ, როგორც ბატკანი..მე თითქმის ძალიანაც მძულან დედაკაცები.. ეგ როგორ იფიქრეთ, უფალო სტრეკოზავ თქუჱნი ჭირიმეთ, ეგ..რა საკადრისია! თუნ-

და ჰკითხეთ, ჩემ მცნობებს ბარონს კირკინს, გრაფ კიზელს, კნიაზს დუდკინს, როგორი ყოფა-ქცევის კაციცა ვარ. ამას გარდა ანნა პაულოვნას ისე უყვარს თავისი ქმარი, რომ..

„ქმარი? ჰკითხა მაიორმა.

—დიახ, ქმარი, რომელიცა სხვაგანა ჰქავს გაგზავნილი დროებით სამსახურში, სულ იმას ანბობს ყოველ დღე, ნეტა როდის მოვა, ვეღარ გამიძლია უიმისოთაო..რასა ბძანებთ უფალო სტრეკოზა, მაგითი ჩვენ დიდ შეურაცხებას გვაყენებთ.

მაიორი დაფიქრდა და არ იყო რომ დამშვდა.

„მამ ის რა იყო, რომ მოგასწარით ორთავე ერთად, ერთ მდივანზედ, რომ გეძინათ. შენ რომ ეუბნებოდი ჩემო ანგელოზოვო. ისე მეგობრულათ ლაპარაკი! მე მოგირიგებ თქვენ მოწყალეო კელმწიფევ.

—უფალო სტრეკოზავ, უნდა იცოდეთ, თუ რა გულწრფელი ვარ თითონ ლაპარაკშიაც ერთს დღეს რომ გაეიცნო ადამიანი, ისე დაუახლოვდები, თითქო დაბადებითგან ეიცნობო: რათ აუპატიურებთ ჩემს უმანკო გულს და უფრო თქვენს დის წულს, რომელიცა აგრეთვე უმანკო არის, ხომ იმისი ბიძა ხარ.

„ბიძაცა ვარ და აპეკუნიცა.

—როგორი ბედნიერებაა მაგ წოდების ქონება, იმისთანა უმანკო ქალზედ. . .

„თუ ღმერთი გწამს. მაგ კომპლიმენტებს თავი დაანე-

ბეთ, გააწყვეტინა მაიორმა. მე თქუენ მოგირიგებთ! როგ-
ორ გაშვედით მეთქი, გკითხავთ თქუენ?

— სწორეთ დათვი ყოფილა, ეს ოხერი, სთქუა თავისთვის ივანე საეიჩმა, ერთი მისხალი განათლება არა ჰქონია; ერთი ნამცეცი კეთილშობილება არ მოსდგავს.

„ გამიგონე ი, მოწყალეო კელწიფეო, უთხრა მაიორმა, უნდა მომცეთ კმაყოფილება, თუ არა და . . .

— როგორ კმაყოფილება? როგორ?

„ რასაკვირველია, როგორც კეთილშობილმა კაცმა.

მაიორმა დაანახვა დამბაჩები, რომელიცა ეკიდა კედელზედ.

„ აგერ. მე ვხედავ, ღონის-ძიებაც გქონია მაგისათვის.

— არა, არა! მე ეს მაჩუქა. ერთმა მცნობმა, მაგრამ არც იმან და არც მე დღევანდლამდის არ ვიცით, თუ რაში არის გამოსადეგი. ეშმაკმა იცის და ქაჯმა, თუ რათა ჰკიდია აქა. იმ წყეულს ავდრის დაუკიდნია.

იმან ჩამოიღო ორივე და დამალა კრაოტ ქუეშ.

,, აი, ახლა შეიტყობ, სთქუა მაიორმა, თუ რისათვის არიან გამოსადეგნი.

ივანე საეიჩმა გაიქნივა თავი.

— არასოდეს! სთქუა იმან. მე კანონათა მაქუს არ ვისროლო დამბაჩა, მერე ისიც დედაკაცის გულისათვის. აგრე რომ ყოფილიყო, ბარემ ორმოცდაათჯელ მომიხდებოდა სროლა და იქნება მეც იქ დავწოლილიყავი საუკუნოდ. არა ძმობილო . . . უნდა გაგიტყდე, რომ არც სროლა ვიცი . .

„ მაშ, უარი უნდა თქუა და დღეის შემდეგ აღარ გაიარო ანნა პავლოვნასთან მე როგორც აპეკუნი და იმისი ბიძა, მოგთხოვ ამას. . .

— უარი ვთქუა! რომ როგორ იქნება, მეზობლათ იდგეს და არ ვიცნობდე! როგორ შეიძლება არ შევხვდეთ ტალანში მაინც ერთმანეთი.

„ აპა, აპა, აპა! არას ოდეს ეგ არ იქნება. მე იმას სხუა სახლში გადავიყვან.

— აგრე იტყოდით რაღა, დალოცვილო! წამოიძახა ივანე სავიჩმა, უხ! თითქოს მთა მოშება ზურგითგანაო. უფალო სტრეკოზა, ერთი ხასიეთი მჭირს: ჩემს ცნობას, თავის დღეში არ გადავიტან სხუა სახლში.

„ ეჰ, სთქუა მაიორმა ღიმილით, ეგ კარგი ხასიეთი გჭირებია, მაშ აგრე, საქმე ამით გათავდა.

— ხომ არ ინებებთ ჩაის.

„ ძალიან კარგი იქნება.

— რომიც გახლავთ.

„ კარგი, სულ ერთია.

— არ ინებებთ ციგარასა?

„ კარგი იქნება.

და შეიქნენ ორნივე, ერთმანერთის მეგობრები.

„ რა კარგი სახლი გიჭირავთ! სთქუა მაიორმა და თვალი გადაავლო ოთახს, მაგრამ ეს რა დამეცა ცხვირზედ?„

— ახ! აგერ ზემოთგან, ჭერითგან ჩამოდის, მაგრამ

გაიელის, არაფერია, მაიორმა აიხედა მაღლა და შენიშნა ნაწვეთი ალაგი.

უცებ ჩამოვიდა იქიდან წვეთი და დაედინა ზედ ცხვირზედ.

,, მოწყალეო კელმწიფევ, ეს რასა ნიშნავს..მე თქვენ მოგირიგებთ!.

— მე დანაშაული არა მაქვს მერწმუნე! ზოგჯერ, ასეთი ჩამოდის. უთუოთ ზემოთ ეტაჟაში წყალი დაღვარეს. ეი, ანდრეი, ანდრეი, მოიტა ტაშტი, მიუდგი.

,, მშვდობით, უთხრა მაიორმა, წავიდე თორემ. აქ როგორღაც სახიფათო ოთახია..საკვირველი ხასიეთები გქონია, არც დამბაჩის სროლა იცი, არც ცნობა გადაგაქვსთ. სხვა სახლში, წვიმა კისერში ჩამოგდის, ითმენ.· ჰმ!.

ის წავიდა. მეორეს დღეს აღარც ანნა პავლოვნას, აღარც ბებრის დედაკაცის ხსენება იყო იქ. სულ ერთიან გალაგებულიყვნენ.

ავდეი მხიარულად შემოვიდა, ივანე სავიჩის ოთახში.

,, რაო ბატონო ივან სავიჩ, უთხრა იმან, რასა ბძანებ, რომ წაუღიათ ჩვენი დივანი, სტოლი, საათი, სარკე, ხალიჩა და ორიც ვაზა, — ჰო მართლა, წყლის ვედრა და ერთიც ჩაქუჩი. ხომ არ გვიბძანებთ წავიდე და ჩვენი ოხრები გამოვართო.

— ოჰ, არა, არა! შენ ისეთ საქმესა იქ, რომ ის სტრეკოზა არის, ვიღაც ოხერი, ხელ მეორეთ გადამკიდო. არა,

არ მინდა, დაეხსენი იმათი იყოს, ოღონდა ხელი აიღონ.

,, აბა, ბატონო, აკი მოგახსენებდი, არ არის კარგი მეთქი. იმდენა რა კაცმა როგორ დაკარგოს·

— დავკარგე მაგრამ, გათამაშებ-გამოთ მაშება მერე როგორა ღირს· ჰა!

იმ დღეს ივანე სავიჩი სვამდა თავის ამხანაგებში, რომელთაცა უანბო თავის გარდასავალი.

— უნდა იცოდეთ თუ როგორ უყვარდი, ეუბნებოდა ამხანაგებს იკანე სავიჩი, დავკარგე როლა· დავკარგე!

,, ეწუხეართ, ძრიელა ეწუხეართ! მაგრამ რატომ ჩუენ კი არ გაგვაცანი.

— არ მეიძლებოდა. ის ხომ იმისთანა არ იყო. მერე იმისი ბიძა, აპეკუნი, აბა იფიქრეთ რა იქნებოდა. — მერე რომ დაბრუნდა შინ, დაიძინა იმ ფიქრებით, თუ როგორ გაეცნო, ზემო ეტაჟში მდგომი დიდკაცის-ქალი.

(ზოგი შემდგომში იქნება·)

# წ ი ნ ა ს ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ი.

(ლერმანტოვით)

როცა მეუფემ, მართალ-მსაჯულმა
მომცა მე წინასწარმეტყველობა;
მაშინ ამ ჩემმან უხილველ თვალმა
იხილა კაცთა დიდ ბოროტება.

მე ვქადაგებდი სწავლას, სიყვარულს,
იყვნენ მარადის ერთგულნი ძმები;
მაგრამ ვერ ვძლევდი მე ბოროტის გულს,
მოყვასთ მესროლეს ურიცხვი ქვები.

ვითარ გლახაკი საწყლად ვრბიოდი
და ვშორდებოდი დიდ ქალაქებსა,
სინანულითა მე მიეახლოვდი
უგზო, უკვლოსა დიდ უდაბნოსა.

როცა ხანდისხან ქალაქში მივალ,
ეუბნება შვილს მამა მოხუცი:
შეხედე შვილო ეს გლახა რას გავს,
ეს იყო ხალხის მლანძღველი ურჩი

შეხედეთ, თქუენთჳს არს მაგალითი,
ამაყი იყო ჩუენთან არ დადგა;
გვარწმუნებდა ჩვენ ეთარცა ღმერთი
მისის ენითა სოფლად უბნობდა.

შეხედეთ კარგად, შეხედეთ შვლნო!
გლახა მჭმუნვარეს სოფლიდამ დევნულს;
არ უსმინოთ მას, ყმაწვილნო, ჩვილნო!
მეჭორე ეგე გაგირყვნის თქუენ გულს.

ალექსანდრე აკოფოვი.

ქ. ქუთაისს.

---

## ვ ი ნ ე ნ ა ხ ე !

ვინ არს ესე? ვისა ეხედამ მე ამას!
დამესახა ანგელოზებრივ სახე;
სიმშვდესა უქებ უმანკო ლამაზს,
ვის ვეძებდი, ვინც რომ მსურდა ის ვნახე!

სილამაზე, გცევა და საუბრობა
არის საწყალთ ახალგაზდათა მახე.

მე აღმაგზნობს მისი მშვდი მჯელობა,
ვინც რომ შსურდა, სწორეთ მე იგი ვნახე.

მას არა აქუს იგი მატყუარობა,
რომელიცა ქალებში მე მოვნახე;
მას ძრიელ სძულს ფარისევლობის ხმობა,
მე მიხარის, რომ ვინც მსურდა ის ვნახე.

არის მეტად მშვდ, წყნარი მოუბარი,
მის გონებას კალამი ვერ შევახე,
ვთხოვ უფალსა ბედი ჰქონდეს ნარნარი,
ჯერ მისთვინა ახალგაზდა ვერ ვნახე.

ეს არს ქალი, ქალი მეტათ საქები,
სრულად ესმის თვსი დანიშნულება,
დამინელა ჩემი შავი დარდები,
რაც ვიხილე, რაც რომ ვნახე მშვენება.

ალ. აკოფოვი.

ქ. ქუთაისს.

# ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი  დ რ ო.

ერთს მშვენიერს დღეს ახალ გაზდა ყმაწვილ კაცს უსეირნია გორის ახალ გაკეთებულ ხიდზედ. რა პაპიროზი მოუნდება, ამოიღებს ვერცხლის პორტმანეს, რა პაპიროზს მოუკიდებს და სკამზედ უკუჯდება, ამ დროს ერთი ახალგაზდა ქალს ხიდის ბოლოდგან გამოუვლია და იმ ყმაწვილს მიახლოვებია და უთქვამს: არ შეიძლება, რომ პაპიროს მოუკიდოვო. ყმაწვილი კაცი პირ ღიმილით წამომდგარა და უთქვამს: შეგიძლიანთ ბძანებითაც, რომ მითხრათ. ქალს ჩამოურთმევია პაპიროზი და თავის პაპიროზისათვს მოუკიდებია, მადლობა უთქვამს და აგრეთვე ხიდის ბოლომდინ გაუსეირნია. ეს ყმაწვილი კაცი დაფიქრიანებულა იმ ქალზედ, რომ როგორმე გაეცნო. ეს ქალი აგრეთვე დაბრუნებულა ხიდის ბოლოდგან იმ ყმაწვილისაკენ, მიახლოვებია ყმაწვილს და უთქვამს: ყმაწვილო, თუ უკაცრავათ არ იყო, მინდა რამ გკითხო.

ყმაწვილი. (სიხარულით) მიბძანეთ, მიბძანეთ.

ლიზა, მე უნდა გკითხოთ ამ გორის მცხოვრების ბუნება, თუ როგორი ხალხნი არიან, ანუ ახალი ამბავი რა

არის, სალაპარაკო, ან რა უფრო იაფობაა.

გარსევანა. მე თქუჱნთან მგონია უკაცრავათა ვარ, რომ მჯდომარე გელაპარაკებით. თავის ალაგს დასცლის და იქით გადაჯდება. ან დამბძანდით, რომ გითხრათ და ან მეც თქვე-ნთან ვისეირებ, რომ რაც ვიცი გიანბოთ. [ლიზა გვერზედ მიუჯდება და ეტყვის:) აბა რას იტყვით სასიამოვნოს.

გარსენა. თუ უკაცრავათ არ ვიყო, ჯერ ეს მიბძანეთ, აქაური ხართ თუ სხუა მხრიდგან.

ლიზა. მე რო აქაური ვყოფილეიყავი, აღარა გკითხამ-დით·

გარსენა. უკაცრავათ კი არ ვიყოთ, და უნდა მოგახსე-ნო. როგორც თქუჱნ არა ყოფილხართ, ისე მე არ გახ-ლავარ აქაური, და რა გითხრათ, მაგრამ ეს კი გავიგე, ვი-თომც ამ გორის წყალს დიდი ზარალი მიუცია მეტივეები-სთვს და სამი მეტივეც დაუხჩია·

ლიზა. ჰო, მაშ უკაცრავათ, მაგრამ, მეტივეები როგო-რღა დამხჩვალან?

გარსენა· ისე ბატონო, რომ წყალ დიდობას მეტივეებს წამოუღიათ ტივი, როგორც სდომებიათ ტივის მიღრეჯა, ვერ მიუღრეჯიათ, რომ ბურჯებისათვს აეცილებინა, რა ვერ აუცილებიათ, მიუჯახებია ბურჯზედ და იქვე დაუყენებია შუა წყალში. იმ ტივზედ ყოფილან სამი მომსმელი, ერთს მეტივეს კი ეშველა თავის თავისათვს და ორნი კი ზედ და-რჩენილან· ამ დატანებაზედ კიდევ ერთი ტივი მოჰქონე-

ბიათ ორ კაცსა, ის ტივიეიც. იმ ტივზედ შეეჩხირა, ის ორი კაცი. რომელიც ზედ დარჩენილიყვნენ პირველ ტივზედ, მეორე ტივს ქვეშ მოეყოლებინა და რომელიც მეორე ტივზედ ყოფილან ისინი მაშინათვე წყალში გადაცვივნულან და დღესაც არავინ იცის სად ჩალუპა. დამხჩვლებიც აღარა ჩანან. ჰო ის კი დამავიწყდა. პირველ ტივზედ სამი რომ ყოფილან, ერთს აესწრო, ბურჯზედ ამხტარიყო, და ორნი კი, მეორე ტივ ქვეშ მოჰყოლიან. რომელიც ბურჯზედ შერჩენილა, ის კაცი ჩამოსულა იმ ტივზედ, რათა ეშველა და ამოეყვანა ორნივე, თავის ბიძაშვილი როგორც ყოფილა ტივებში გაჭედილი ამოეძრო და ბურჯზედ აეყვანა. ჩამოსულიყო ძმის საშველათ ისიც აეყვანა, მთელი ორი საათი წვალებულა, მაგრამ, თავისი ძმაკი ვერ ამოუყვანია. რომელიც ტივებში გხლებიათ გაჭედილი, ისა ყოფილა უნცროსი ძმა სამითვის ჯვარდაწერილი. ჰო იმას მოგახსენებდით: რა უმფროს ძმას ეღარ უშველია ტირილი დაუწყვიაა. მერე პატარა ძმას ეთქვა: ძმაო, თუნდა ამიყვანო ეღარ ვიცოცხლებო, წელს ქვეით ასოები სულ დამსხრეული მაქსო. ეს უთქვამს თუარა და მაშინათვე დამხჩვალა: ის უფროსი ძმა და ბიძაშვილი, ბურჯზედ ყოფილან სამი დღე და ღამე.

ლიზა. ცურაობა არ იცოდნენ, რომ გამოსულიყვნენ?

გარსენა. არა სცოდნიათ და თუნდა სცოდნოდათ, ერთი გამოკიდოდა და მეორეკი ვერა. ამისათვის, რომ ბიძა-

შეილი რომ ამოუყვანია, მუხლები სულ დაჩეჩქვილი ჰქონია, და იმისათჳს ვერ გამოვიდოდნენ.

ლიზა. ოჰ, ოჰ. რაუბედურება ყოფილა, ღმერთო შენ დაიფარე ყოველი ქრისტიანენი, მერე ყმაწვილო, იმ დამხ-ჩვალს რაღა უშველეს?

გარსევანი. ვაი თქუენს მტერს როგორც იმას აღარა ეშვე-ლებოდარა. ისკი დამავიწყდა, შემდეგ სამი დღისა მოვიდა სამი კაცი ნავტიკით, ორჯერ ჩამოიარეს რა არის ნავტიკი მიეყენებინათ, რომ ის კაცები გამოეყვანათ, ვერ მიუყენეს. რაკი მესამეთ ჩამოიარეს, მიახლოვდნენ იმ ბურჯს თუ არა, გადისროლეს გძელი თოკი მენავტიკეებმა, და ამ კაცს დაა-ჭერინეს წვერი. რა თოკის წვერი კაცმა დაიჭირა, ფიცხლავე ბურჯზედ მოსდო, მიითრია, მიითრია, და ბურჯამდინ მიი-ტანა ის ნავტიკი სამის კაცით. ეს მენავტიკები, როგორც უნდოდათ, რომ ბუნჯზედ ამხტარიყვნენ თუარა, წყალმა ტალღა ჰკრა და კინაღამ ისინიც წყალში ჩაცვივდნენ. მაგრამ დიდი სიმარდე იხმარეს, სამივემ ისკუპეს ფეხები, და რო-გორც ჩიტები ისე მარდათ შეხტნენ. ნავტიკი ბურჯზედ და-აბეს, ის ავანთყოფი ბურჯზედ გაუშვეს, ოთხივე ჩავიდნენ იმ-ტივზედ, ამოიღეს ხანჯლები, ოშტაყვირები დასჭრეს. წნელე-ბი დასჭრეს, მაგრამ ის დამხჩვალი ვერ ამოაძრეს იმ ტივე-ბიდგან ასე იყო შიგ შეჩხირული რა ვერა უშველეს რა, დამხჩვალს დაანებეს თავი, ის ორივე დასხეს ნავტიკზედ და ისე გამოიყვანეს.

ლიზა. ოჰ, რა უბედურება ყოფილა. მერე, იმ დამრჩევა-ლს რაღა ნუგეში?

გარსენა. ის დამხჩვალი შენი ჭირიმე თუნდა ერთი თვე მეტი ყოფილა, იმ ტივშია მაშინ ამოულიათ, როცა წყალი დაპატარავებულა, დამპალი, დაუმარხამთ, ამაზე მეტი არა ვიცირა ახალი ამბავი

ლიზა. ოჰ ძალიან კარგი თქმა იყო, მაგრამ, თქუენ საიდგანა ბრძანდებით, შეიძლება თქუენი ვინაობა გავიგო თუ არა?

გარსენა. მე გახლავარ შენი ჭირიმე, გორის უეზდიდგან.

ლიზა. ამის მეტათ არა ყოფილხართ გორში, რომ სხვა რამ გაგეგოთ?

გარსენა. არა ბატონო, ბევრჯერა გხლებივარ, მაგრამ, ჩემი აქ ჩამოსვლა უსარგებლო არა ყოფილა.

ლიზა. როგორი სარგებლობა, ეგეც მთხარი რასა ნიშ-ნავს, ხომ არავისზე გიჭირამს თვალი.

უფალო მკითხველო, თქუენ შეიტყეთ და ბძანეთ თუ რაში ეკითხებოდა.

გარსენა. არა ჩემო კელმწიფა, არა.

ლიზა. ჰო, ჰო, გეტყობა.

გარსენა. აქამდისინ კი არა მიფიქრიარა, და ახლა კი არ ვიცი...

ლიზა. მე მაშინათვე შევატყე, დაფიქრებული რომ იყა-ვით სახეზეთ გეტყობოდათ.

მეორეც ესა ამ ყმაწვილის გარემოება, რაში ეკითხებოდა, ან იმისთანა ლაპარაკი რათ უნდა დაეწყო უცხოსთან, მაგრამ რაკი პატრონი ისე საბელს მიუშვებს, რასაკვირველია ქალი ბევრ რამეს ისწავლის.

ჰო, იმას მოგახსენებდით: ქალს ეთქვა წინათვე შეგატყეო.. პაპიროზის ბოლს პირითგან ამოუშვებს და მხიარულის სახით გადახედამს, და არას ეტყვის:

ლიზა. ყმაწვილო, თუ საქმე არა გაქვსთრა, შინამდინ გამაცილეთ.

გარსენა. (გახარებული] ბატონი ბძანდებით, გახლებით, საქმეც რომ მქონდეს, მაშინაც შეიძლება თქვენი გაცილება. ორნივე წამოდგებიან და ლაპარაკით მივლენ სახლამდინ, რა სახლ მიახლოვდებიან, ლიზა ეტყვის: აი ეს არის ჩვენი სახლი.

გარსენა. მაშ მშვიდობით ბძანდებოდეთ.

ლიზა. განა ეგრე მალე უნდა გამამეთხოვოთ!

ერთი იფიქრეთ, მაშ რა უნდა ეთქვა, თუ არ გამოსთხოვენიდა. მაშ იქ ხომ არ შეაცივდებოდა.

გარსენა. ამოხვრით ეტყვის: მაშ როგორ, შებძანდით, მამა თქვენმა არა გვნახოს, თორემ ორივესთვს ცუდია.

ლიზა. არა, არა, ნუ გეშინიან, მამა ჩემი ნათლობაშია და დედაჩემი კი დედიდასთან წავიდა ლოტოს სათამაშოთ. თორმეტ საათამდინ არც ერთი არ მოვა. მე მარტოკა ვიქნები გოგოს სანაბარა და თუ არ გეჩქარებათ, ამობძანდით

პატარა ხანს ვილაპარაკოთ.

გარსენა. ჩემო კელმწიფა, თქვენს ბრძანებას ძირს არ დავუშვებ, მაგრამ, რომ მოგვესწრონ ცუდია ორივესთვის

ლიზა. არა, არა, მაგისი მე ვიცი·

გესმით ამ ქალის აწყვეტა, როგორ არავისი არ შინებია და შეუპატიჟნია უცხო კაცი.

ჰო იმას მოგახსენებდით: მაგისი მე ვიციო, ეს გარსენა აუყვანია თავის კაბინეტში და სიამოვნებით ერთ საათამდინ ულაპარაკნიათ· რომ გარსენა წამოსასვლელად მომზადებულა, ლიზას კელი ჩამოურთმევია და უთქვამს· აბა არ დამივიწყოო·

გარსენა მეორე დღესვე წასულა სოფელში, ასე, რომ სამი თვე იქ დაჰგვიანებია. სამი თვის შემდეგ წამოსულა.

გარსენა სამი თვის შემდეგ ჩამოსულა, ლიზას სახლისაკენ გაუვლია, იმ დღეს ვერ უნახავს. მეორე დღეს ლიზას მამა შეჰხვედრია. გარსენას უთქვამს: ოჰ, ძველო მეგობარო! ეს სადა ხარ, რომ ამტენი ხანი გორში არ ჩამოდიხარ? განა ეგრე ჩქარა უნდა დაკარგო ძმობა და მეგობრობა, რატომ ჩვენსა არ მოდიხარ რაზედ მიწყრები, რა დაგიშავე, რომ აღარა მნახამ ხოლმე.

გარსენა. ეჰ ძმაო, როგორც შენ ანბობ: ისე ჩქარ-ჩქარა, რომ ჩამოვიდე, რისთვის, რა პენსია მეგულება, ან რა მესაქმება. რა თავს ისაწყლებ, განა არ გიცნობ რაცა ხარ. გიცნობ, გიცნობ მაგრამ ესეც უნდა გითხრა მართლა

რა გემართება რატომ არ ჩამოდიხარ ხოლმე, ერთი ცხენი ხომ გეშოება, რომ ოცი ვერსი იაროს და ჩემთან მოხვიდე, ცხენიც, რომ არა გყამდეს მაშინაკ შეგიძლიან ფეხით ჩამოხვიდე და გნახო ხოლმე, მაგრამ აღარ გიყვარვარ და ესარის.

გარსენა. არა, სიყვარულს ნუ იტყვი, რომ არ მიყვარდე. მაგრამ რაღა გაგიჭიანურო? ხომ ნახე რანაირი უბედურები შევიქენით.

გარსენი. რა უბედურება? უბედურება მეტიღა იქნება! ერთი სიტყვით, სულის მეტი აღარა გვაქსრა . . . .

მემდეგ. რაც გითხრა, როგორც თევზი უწყლოთ, ისე ჩუმნ დავრჩი ხრიაკ მიწაზედ. კარგი. რომ იმ მიწის მოვლა მაინც ვიცოდე, კიდევ არა ფერი. მაგრამ, ამაზედა ვარ დაღონებული, რომ იმისი თავი არა მაქვს, რომ მოუვარო და ისე ვიცხოვრო და ვარ დაღონებული.

გიორგი. ოჰ ძმაო გარსენ, უკაცრავათ, რომ აქ დაგაყენე და ისე გელაპარაკები, წამოდი შინ ვილაპარაკოთ. მოჰკიდებს კლთამი კელს და შეიყვანს სახლში.

არაფერს არაფერს ვითომ ბოდიშს რაზედ იხდით,

გიორგი. ჰა ის უნდა მეთქვა ჩემო გარსენა. ზოგი ერთი აზნაურშვილი მხნე, რომ იყოთ, თქუენს საქმეს კარგათ მოიყვანთ, ცხოვრებას მოუმატებთ წინანდელ დროზედ მომეტებულად. მაგრამ, ზოგი ერთი ზარმაცი, რომ ხართ, იმიტომ არას დაზდევთ.

გარსენა. ეჰ. ძმაო, რაკი მუშაობას არ ვიყავ დაჩვეული იმიტომ მეჩოთირება და არ მეხერხება.

გიორგი. ეჰ ძმაო, როგორიაც არის ნათქვამი. თუ გული გულობს ქადა ორი კლიით იჭმევა. და რაკი არ გინდა ხელსაც არ ახლებ თუნდა ტალახშიაც ჩავარდეს. ამისი არიყოს თუ შენ მხნე იქნები, კარგათ მოუვლი შენს მამულს და გაამშვენიერებ კიდეც, მაგრამ ისა ვთქვათ, რომ ზოგი ერთი ამპარტავნობით და წინადელ დროებას მისდევთ, არა ძმაო, იმ დროებას აღარავინ უყურებს, ამისათვს, რომ ეხლა სხვა დროებაა, ასე, რომ თუ არ გაისარჯე და შენის ფეხით ტალახი არა ზილე რწყვის დროს ვეღარ იცხოვრებ და თუ გეწყინება დღეის შემდეგ აღარას გეტყვი.

გარსენა. არა, არა, რაზედ უნდა მეწყინოს.

გიორგი. ჰო, ის უნდა მეთქვა: შენ რათ უნდა იამპარტავნო. აი პირველი მაგალითი თქუენი მხრის აზნაურიშვილი, ტირძნიში მცხოვრებელნი, ორნი პირნი რა ცხოვრებაში იყვნენ წინათ, და ეხლა რასა სჩადიან ცხოვრებისთვს და კიდევ სადამდინ ცდილობენ. პირველი ალექსანდრე ეგაძე და მეორე ივანე სულხანოვი. აი მოგახსენო: ალექსანდრე ეგაძე ისეთი სუსტი აგებულებისა ყოფილა და ნაზი ყმაწვილი, რომ გვერდით ლიტრა სდგმოდა და წყალი სწყუროდა, არ მისწვდებოდა. რომ ადგო და დაელია, მინამ ბიჭი არ მიართმევდა, მაგრამ, ეხლა რომ ნახო მხნეობს, ბიჭებს თავს ადგია და ისე აკეთებინებს საქმეს, და

სტუმარიანობის დროს კი სუფთათ ცხოვრობს. აგრეთვე ვანო სულხანოვიც, დიდ-კაცურად ყოფილა გაზდილი, დიდის მქონეც ყოფილა აქამდისინ, მაგრამ, ეხლა იმის მხნეობა, რომ დაინახო საკვირველია საქართველოს კაცისათვს, ასე, რომ ბიჭებზედ ადრე ისა და მისი დედა სდგებიან, ბიჭებს თითონ აღვიძებენ, ვანო წინ მიუძღვის ჯეირანივით ბიჭებს. მიიყვანს მინდორში თვარა შეაბმევინებს გუთანს, იშიშვლებს ხოლმე, ტანისლავას იქ ჩამოჰკიდებს ხოლმე, უჭირავს მაშინის გუთანი და ისე ხნამს თავის ხელით, სხვასაც არ ენდობა, რომ მაშინის ხელი არაცინ იცის. მაგრამ ესეც უნდა გითხრა, რომ დაბალთან დაბლობს და ნასწავლთანაც არ მერცხვება თავის მინაურ ნასწავლობით. აბა მითხარი ამის პასუხი, განა სიღარიბით მოსდის ის მხნეობა. არა! ისა ნიშნავს მხნეობას, ისა ნიშნავს თავდაბლობას, და ხალხთ გიჩვენებთ, რომ მხნეობა უმჯობესიაო, რომ თქუენც მხნე იყვნეთ და განძლიერდეთ. მაგრამ მე როგორც მესმის, მაგისთან ათასი მაგალითიც, რომ დაგანახო, ზოგი ერთს თუ არა გწადიანთ არ დაინახამთ, მითომ არა ხედავ. ამასთანავე რა პირუტყვს იტყვი, რომ არა ჰყამდეს გაჩენილი. რა ფრინველები არა ჰყავს; ერთის სიტყვით. უცხო კაცმა, რომ ნახოს, სწორედ გაოცდება იმ პირუტყვების, ფრინველების და ფარშავანგების ყურებით. მასთან მის ფერმაში, რომ შეხვიდე, სწორედ სამოთხე გეგონება. ხეხილებს, რომ შეხედო დამწკრივებული რუსის ჯა-

რი გეგონება. ვაზებიც აგრეთვე რუსულს პლანზედ არის დაწყებილი ერთს მეორეზე დიდ ვერ იპოვნი, ისე, რომ თვალთა თვის საამურია იმათი ყურება. ამასთანავე სხვა და სხვა ყვავილების სურნელება შეგბნიდამს, რომ გამოსლა აღარ მოგინდება. ჰა რაღა ბევრი გავაჭიანურო, შენც კაცი და ისიც კაცი რაც შეს არა გაქვს, ისიც იმას, თუ იმასა აქვს ღონე, მგონი მენ მომეტებული ჯანი გქონდეს შენცა გაქვს მამული და იმასაც. და რათ უნდა იყო ღარიბი.

გარსენა. იმას ბევრი მამული აქვს და მეკი ცოტა, და საიდგან სადა.

გიორგი. ეგ უკეთესი. ჯერ ცოტასთვის, რომ ვერ მოგი-ვლია, ბევრს როგორღა მოუვლი.

გარსენა. მე მაინც იმას ვერ დავებაძები რაც უნდა ვი-მხნეო.

გიორგი. ჰო. მეც მანდ გელაპარაკები, რომ საქმეს არ აკეთებ, ასე გგონია არა მოკარაო. არა ძმაო, შენკი უნდა ეცადო. და მერე ღმერთი მოწყალეა მაგრამ რაც გაწყენი. სწორეთ ისეთი ყოფილხარ. და მუშაობა არა გყვარებია ისა ვსთქვათ.

გარსენა. არა, ეგრე არა ვანო სულხანოვი ნასწავლია, ბოტანიკა კარგათ ესმის და იმიტომ წავიდა წინ.

გიორგი. აი რა გითხრა, თუნდა ვანოსაც, რომ ეწყინოს ვანო სულხანოვი პეტერბურღში არა ყოფილა, და არც იქ უსწავლია ბოტანიკა, მაგრამ, ხედამ თავის ბუნებითი ნიჭით

როგორ ყველამ დაწინაურდა და თავის ბუნებით ნიჭი-ერებით როგორ გაახარა საქართველო და თვისი მშობელი ეს უფრო კარგი, რომ სასწავლებელში არ უსწავლია და შინ უსწავლია, მეც ეგ მინდოდა გეთქვა. ახლა მე გითხრა თუ კი იმას შინ უსწავლია, რატომ შენკი არა ცდილობ რომ შენც ისწავლო, ერთი სიტყვით უნდა გითხრა: პეტერბურღში, მოსკოვში, ათინაში და სხვათა ალაგებში შეილებს გზავნიან, მაგრამ, რომ მოდიან, იმათის ბოტანიკის ნასწავლობა და ვანო სულხანოვის ნასწავლობა, ძალიან შორს-შორს არიან. ასე, რომ ათინაში ნასწავლთ ხალხთ კიდევ გაუსწორებს; ვანო სულხანოვი ისე დაწინაურებულა თავის მეცადინეობით. ამასთანავე, რომ არ დაგიკვეხო და არ შემრცხვეს, მე გეტყვი უტყუარს ვანოს ხილის ნამყენების ბუნებას, რომელიც რომ ჩემი თვალით მინახავს ჭკუტა ვაშლის ხე ვანოს ფერმაში. ის ჭკუტა ვაშლი ვანოს უმყნია. მეორე წელიწადს რომ მაჩვენა გაოცებული დავრჩი. რომ არ შემცხვეს თითო ვაშლი ორი გირვანქა გამოვიდოდა. აი ჩვენში საქართველო კეთილშობილებს რა სწავლა მიუღიათ თავის ნიჭიერებით, აი სადამდინ უწვდება გონება. აი როგორ გაანათლა ლამის მზავსად და გაახარა საქართველო და როგორ გვასახელებს ქართველებს, თავის შრომით და მეცადინეობით; მაგრამ, შენკი აგე გგონია, შენი ხელის განძრევა თითქო წინააღმდეგი იყოს ისე ერიდები და გცხვენიან. არა ძმაო, რაც არა იცირა, ის არის წინააღმდეგი. რაც არა გექ-

ნებარა, ის არის სირცხვილი და დასაძრახი და არა მხნეობით შემატება.

გარსენა. ძალიან მართალსა ბძანებთ, მაგრამ თქუენ რატომ არ ეხებით მაგ საქმეს.

გიორგი. ჯერ ეს მითხარი, ანდაზა გაგიგონია თუ არა, იმერელს რომ უთქვამს.

გარსენა. აბა რა ანდაზა.

გიორგი. ეს ანდაზა, იმერელს ჩაუხედნია კიდობანში, რა უნახავს, რომ პური არა ყოფილა, უთქვამს: არცა მშიან და არცა ყოფილაო. გაიგე რა გითხარი თუ არა? თუ ვერ გაიგე მე აგიხსნი: ეს ის გახლავს, რომ არცა მაქუს მამული, და არც მინდა, თუნდა მამულიც მქონდეს, მე ვერ მოვიხმარ, ამისათვს, რომ სამსახურის კაცი ვარ. მეორე, რომ მოხუცებული ვარ და არ შემიძლიან მამულის მოვლა და რა საქმეს უნდა მევეხო. ესე ჩემო გარსენა, მაგრამ კიდევ ამას გეტყვი და არ დავივიწყებ, მარად ჟამს შენს მამულზედ თვალ ყური უნდა გქონდეს, ამ დროს გამოვა გოგო და გიორგის მოახსენებს: სადილი მზად გახლავსთ.

გიორგი. აბა გამოიტანე და ქართულათ გაშალე, შენ გაზდილს და ქალბატონს მოახსენე, რომ ისინიც გამობრძანდნენ, რომ ერთათ შევექცეთ.

გოგო. ბატონი ბძანდებით. შებრუნდება ქალბატონს და

ლიზას მოახსენებს: ბატონმა ბძანა, რომ სადილათ ერთად შევექცეთო. რა გამოვლენ, გიორგი გარსენას: ძმაო გარსენ! იცნობთ ჩემს კნეინას თუ არა?

გარსენა. როგორ არა მაქუს ცნობა!

გიორგი. ჩემ ქალს-ც იცნობთ?

გარსენა. არა, თქუენი ქალის ცნობა კი არა მაქუს, ვითომ არ იცნობს გიორგი! ამოდენა ქალი სად გაგიზდიათ რომ მე არ მინახავს ამის მეტათ.

გარსენა ვითომ არ იცნობს, ან არ უნახავს ლიზა ისე გაოცებით ელაპარაკებოდა, ის კი არა, გუშინ ამავ სახლში ერთად შეექცეოდნენ ლაპარაკით

ეს იმიტომ არ გინახავთ, რომ აქამდინ პენციონში იზდე-ბოდა, კლასნი დამობა აღარ ინდომა, და რაც მოვიყვანე სულ ორი თვეა ძალიან სკუჩნაობს უამხანაკობას, ვერას სიამოვნებს ვეუმნები ლოტო ითამაშოს ხოლმე და არა თამაშობს, რომ პატარა გაერთოს.

გარსენა. მივა ხელს ჩამოართმევს და ეტყვის: გთხოვთ, რომ მიცნობდეთ. (გიორგის.] ზოგთ ეჯავრებათ ვინცა თა-მაშობენ, და თქუენ კი ძალათი აყენებთ იმ გზაზედ. არა რაკი სურკილად არა აქვსთ ნუ ურჩევთ, რომ შეეჩვიოს. ბარაქალა, ბარაქალა, მე მამწონს თქუენი ქალის ხასიათი რომ არა თამაშობს.

გიორგი. (გარსენას) რითი მოგწონს ან რა არის, რომ თამაშობს?

## 1869 წლის

„ცისკრის" ხელმოწერა შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ მცხოვრებლებთ თუ გაგზავნით, 8 მან.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარ კერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

„ცისკრის" რედაქციაში ტფილისს.

Дозволено цензурою. Іюня 15. 1869 რედ. ი. კერესელიძე.